

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

Роланд Топчишвили

„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში

**«Осетинская этнографическая энциклопедия»
в контексте грузино-осетинских отношений**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2016

UDC(უაკ) 38(=221.18)(231)+94(479.22:479.225)

თ – 778

2013 წელს ვლადიკავკაზში დაიბეჭდა „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, რომელშიც ქართულ-ოსური ეთნოკულტურული ურთიერთობები მკვეთრად ტენდენციურად და მიკერძოებულადაა ასახული. წინამდებარე წიგნში „ენციკლოპედიაში“ წარმოდგენილი მასალა და დასკვნები კრიტიკულად და რეალურადაა განხილული.

Во Владикавказе в 2013 году была опубликована «Осетинская этнографическая энциклопедия», в которой грузино-осетинские этнокультурные отношения представлены тенденциозно и предвзято. В представленной нами книге грузино-осетинские отношения рассмотрены реально и дается критический анализ «Энциклопедии».

რედაქტორი გივი წულაია

Редактор Гиви Цулая

რეცენზენტი აპოლონ თაბუაშვილი

Рецензент Аполон Табуашвили

© რ. თოფჩიშვილი, 2016

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-708-0

„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში

2013 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში დაიბეჭდა «Осетинская этнографическая энциклопедия», რომლის მთავარი რედაქტორია ეთნოლოგი *ლუდვიგ ჩიბიროვი*. ენციკლოპედიის სიტყვანი 4 ათასზე მეტი ერთეულისაგან შედგება და მოიცავს ოსთა ეთნოლოგიის ყველა სფეროს და ისეთ საკითხებსაც, რომლებსაც ეთნოლოგიასთან საერთო არაფერი აქვთ. ენციკლოპედიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პერსონალიას. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ასეთი გამოცემები იშვიათია. ამიტომაც იქცევს ის ყურადღებას. ჩვენი ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ ოს ხალხს განსაკუთრებული კულტურული ურთიერთობა გააჩნდა ქართველ ხალხთან, რომლის მიწაზე გვიანი შუა საუკუნეებიდან ოსთა ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა და რის შემდეგაც ქართულ-ოსური ურთიერთობები უფრო მეტად განმტკიცდა.

ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია ფართო და სერიოზულ განხილვას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად მას მხოლოდ ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში ვეხებით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოცემის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ნეგატიურია. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ოსური საისტორიო და ეთნოლოგიური ლიტერატურა ქართულ-ოსურ ეთნოკულტურულ ურთიერიერთობას მკვეთრად ტენდენციურად წარმოადგენდა. ტენდენციურადაა განხილული საქართველოში ოსთა მიგრაციის საკითხი, დვალთა ეთნიკური ვინაობა, კავკასიაში ალანების ბინადრობის საკითხი, ისე, რომ საერთოდ ანგარიში არ ეწევა პრობლემების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. უფრო მეტიც, ასეთი სამეცნიერო ლიტერატურა ფაქტობრივად იგნორირებულია, ვითომც ის საერთოდ არ არსებობს. ენციკლოპედიას ახასიათებს გამოკვეთილი ტენდენცია საქართველოსი და სამხრეთ ოსეთის დაპირისპირებისა, არა ხოლოდ XX საუკუნეში, როდესაც ეს ტერმინი და ამ ტერმინით აღ-

ნიშნული ადმინისტრაციული ერთეული შეიქმნა, არამედ „უძველესი დროიდან“, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის დროს.

ცნობილია, რომ ოსები ანტიკურ და სხვა წყაროებში მოხსენიებული ალანების შთამომავალი არიან. ბუნებრივია ტერმინს/ეთნონიმს **ალანებს** ენციკლოპედიაში ფართო ადგილი დაეთმო. პირველივე წინადადება ასეთია: «Аланы – предки осетин, ведущие свое происхождение от ираноязычных скифов и сарматов. Они сыграли известную роль в этногенезе и формировании культур других коренных народов Кавказа». არავინ არ დაგობს ოსების ალანებისაგან წარმომავლობას, მაგრამ მათი ამავდროულად სკვითებისა და სარმატებისაგან წარმომავლობა კი არის მითი. თანაც, თურმე, სკვითებისა და სარმატების მემკვიდრეებად ალანებს თავად მიაჩნდათ თავიანთი თავი. მართალია, სკვითები, სარმატები და ალანები ირანულენოვანი ეთნოსები იყვნენ, მაგრამ ისინი ხომ სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში მომთაბარეობდნენ ევრაზიის სტეპებში? შესაბამისად სხვადასხვა დროს იყვნენ გამოსული შუა აზიიდან და შესაბამისადაც განსხვავებული ირანულენოვანი ეთნოსები იყვნენ. როდესაც ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ოსთა წინაპარმა ე. წ. სამეულმა კავკასიის სხვა ადგილობრივი ხალხების ეთნოგენეზისა და კულტურის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა, ამ დებულების ორიოდე მაგალითის მოყვანით მაინც უნდა დაგკმაყოფილდეთ. რომელი ხალხების? რომელი ხალხების კულტურის? ფაქტი კი ისაა, რომ მომთაბარე ალანებმა მას შემდეგ კი რაც ისინი კავკასიელები გახდნენ (IV საუკუნის 70-იანი წლებიდან), პირიქით, ადგილობრივი ხალხების კულტურა შეითვისეს. ამ კულტურული ტრანსფორმაციისაკენ მათ გეოგრაფიული გარემო და ლანდშაფტი უბიძგებდათ.

ავტორებს ისე წარმოუდგენიათ, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემომავალ კარს – **დარიალს** – იმიტომ ეწოდა ეს სახელი, რომ აქ ალანები ცხოვრობდნენ. ადრე შუა საუკუნეების არაბული წყაროების მიხედვით ალანების განსახლების არეალამდე დარიალის გასასვლელის შემდეგ ათი დღის ფეხით სავალი იყო. ირანე-

ლებმა იმიტომ შეარქვეს **დარიალი**, რომ კავკასიის მთის სხვა ხალხები, რომლებიც გასასვლელის ირგვლივ ცხოვრობდნენ, მათთვის უცნობი იყვნენ. ამ გზას კი ისინი ალანთა ქვეყანაში მიყავდა. მკითხველის შეცდომაში შეყვანა ამით არ მთავრდება. განსახილველ სტატიასთან განთავსებულია სქემატური რუკა, რომლის სახელწოდებებია «Территория алан по Пр. Кесарийскому (VI в.) и Армянской географии (VII в.)». ამ რუკის მიხედვით ალანებს საქართველოში უცხოვრიათ. აღმოსავლეთ საქართველოს დვალეთის სამხრეთით «Аланы» აწერია. თანაც დვალეები დატანილი არიან არა კავკასიის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით, სადაც ისინი იმ დროს რეალურად ცხოვრობდნენ, არამედ შიდა ქართლის მთიანეთში. ესაა ისტორიის ფაქტობრივობა. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდება: ქართველები სადღა იყვნენ იმ დროს? სადღასაც და ეს „სადღაც“ მის შემდგენლებს არ აინტერესებთ.

ოს ავტორთა ნაშრომებში, როდესაც ისინი ადრე შუა საუკუნეების ალანიის შესახებ საუბრობენ, მას ორ ნაწილად წარმოიდგენენ/ყოფენ: დასავლეთ ალანიად და აღმოსავლეთ ალანიად. აღმოსავლეთ ალანიად მათ თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთი მიაჩნიათ, ხოლო დასავლეთ ალანიად – ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, სადაც რეალურად ისინი მართლაც ცხოვრობდნენ. ადრე შუა საუკუნეების ალანიის ორ ნაწილად წარმოდგენა არის ბლევფი. ესაა ხელოვნურად, მეცნიერთა მიერ შექმნილი დაყოფა, რითაც უნდათ დაასაფუძვლონ, რომ გვიანდელი ოსეთის ტერიტორიაზე ისინი თავდაპირველადვე მოსახლეობდნენ. ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ეს ე. წ. აღმოსავლეთი ალანია მათ მხოლოდ მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიკავეს, როდესაც იმავე პერიოდში ე. წ. დასავლეთი ალანია დაკარგეს. სად რომელ წყაროშია საუბარი აღმოსავლეთ და დასავლეთ ალანიის შესახებ? – არცერთ წყაროში! ისტორიული ალანიის ასეთი გეოგრაფიული დაყოფა მეცნიერთა მიერაა შეთხზული.

აღმოსავლეთ ალანიის „ზუსტ“ საზღვარსაც გვთავაზობენ. ესაა ტერიტორია კავკასიის მინერალური წყლებიდან ჩანეთის მთისწინეთამდე. ასე რომ, ოსი მეცნიერები

ვაინახებსაც ართმევენ ისტორიული განსახლების არეალს. უფრო მეტი: მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ აღმოსავლეთ ალანიის-ოსეთის მთიანი ხეობები გადამეტსახლებულა და ალანების ნაწილს კავკასიის ქედის სამხრეთით გადმოუნაცვლია, **სადაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში მათი თანამემამულეები ცხოვრობდნენ** [«После татаро-монгольского нашествия тесные горные ущелья Восточной Алании-Осетии были перенаселены: часть А. переместилась на Южной склон Кавказского хребта, где уже давно проживали их соплеменники»]. მეცნიერება ფაქტებს ეყრდნობა. ოსი მეცნიერებისათვის კი ფაქტები საჭიროებას არ წარმოადგენს. სასურველს რეალობად აცხადებენ. არც ერთი წყაროთი არ დასტურდება, რომ ე. წ. „აღმოსავლეთ ალანიის“ მთიანეთში ალან-ოსები მონღოლთა შემოსევებმადე ცხოვრობდნენ, მით უმეტეს საქართველოში, რომლის სახელს მკითხველს დაჟინებით უმაღავენ და მხოლოდ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთზე ლაპარაკობენ. საქართველოში „დიდი ხნის წინ“ ალან-ოსების მკვიდრობა როდიდან დასტურდება, ამაზე დუმან, თუმცა, ზემოთ მოხსენიებული რუკის მიხედვით, VI-VII საუკუნეებში ისინი მთელი ქართლის მკვიდრები იყვნენ. გამოდის, რომ ოსი ავტორებისათვის არავითარ წყაროს მნიშვნელობა არა აქვს. ქართული წყაროები შუა საუკუნეებში თუ ფაქტებს ამახინჯებდნენ, იქნებ ა. ალემანის წიგნში მაინც ჩაიხედონ ამ ავტორებმა, რომელშიც თავმოყრილია თითქმის ათზე მეტენოვანი საისტორიო წყაროები, რომლებშიც ალანები/ოსები არიან მოხსენიებული და არცერთ მათგანში ისინი საქართველოს მკვიდრებად არ იხსენიებიან. ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს მხოლოდ აფხაზეთისა და სვანეთის მონაკვეთზე ემეზობლებოდნენ, ე. ი. იქ, სადაც ისინი რელურად ჰუნების შემოსევების შემდეგ ცხოვრობდნენ და სადაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დიდი ზეღენჩუკის ხეობაში ალანიის ეპარქიაც ჰქონდა შექმნილი ბიზანტიის იმპერიას. ამიტომაცაა, რომ ალანური ქრისტიანული კულტურის ძეგლები (ქრისტიანული საფლავები, ქვაჯვრები, ბერძნული წარწერები და დიდი და პატარა ტაძრები) შემორჩენილია მდინარე ყუბანისა და ორივე ზე-

ლენჩუკის ხეობებში. ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე დამოწმებული ოსური ტოპონიმები, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმებს შორის ბევრია არაოსური, აუხსნელი ტოპონიმი¹.

იმავე სტატიით მკითხველს არწმუნებენ, რომ ჰუნების შემოსევების დროს (IV საუკუნის 70-იანი წლები) ალანები განსახლდნენ თანამედროვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ყველა ხეობაში და რაც, თურმე, არქეოლოგიური და გათხრებითა და წერილობითი წყაროებით დასტურდება. თანამედროვე კავკასიელი მეცნიერები არქეოლოგიურ მასალას ნებისმიერ ინტერპრეტაციას აძლევენ (მაგალითად, ვერ გაუყვიათ ყობანური კულტურა). წერილობითი წყაროები ალან-ოსების თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ IV საუკუნეში კი არ არსებობს. ჩრდილოეთ ოსეთში იმ დროს მხოლოდ ის ტერიტორია დაიკავეს, რომელზედაც მონღოლების შემოსევების დროს ყაბარდოელები დასახლდნენ. საქართველოში კი ერთ სტატიაში ოსთა განსახლება VI-VII საუკუნეებიდან IV საუკუნით დააძველეს. სიყალბეთა კასკადს საფუძველი ჯერ კიდევ ადრე ზ. ვანეევა ჩაუყარა, შემდეგ ი. გაგლოითმა განავითარა. ზ. ვანეევის მიხედვით ათასწლეულების განმავლობაში ალან-ოსები არაერთხელ გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ საქართველოში და მათი ეს მიგრაცია ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში დაწყებულია. მისი ნაშრომების პათოსი ისაა, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ძველი ქართული მოსახლეობა არ ყოფილა.

ენციკლოპედიაში ბუნებრივია დიდი ადგილი აქვს დათმობილი სტატიას – „ირატა“ – ოსები. დავიწყოთ პირველი ტყუილით. გაცხადებულია, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსთა განსახლების არეალი მოიცავდა სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიას და საქართველოს თითქმის ყველა რაიონს, თანაც, თურმე, აღნიშნული პერიოდის ოსთა განსახლების არეალის დად-

¹Л. И. Лавров. Избранные труды по культуре абазин, адыгов, кара-чаевцев, балкарцев. Нальчик, 2009, ст. 368-369, 376.

გენა ხერხდება თბილისის გუბერნიის 1830-1831 წლების კამერალური აღწერით [По данным камеральных описаний жителей Тифлисской губернии, произведенных в 1830-1831 гг., к концу XVIII – нач. XIX в. ареал проживания осетин в Закавказье охватывает всю территорию Южной Осетии и почти все районы Грузии]. საკითხავია, 1830-1831 წლების კამერალური აღწერის მონაცემები როგორ უნდა ასახვდეს XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ოსთა დემოგრაფიულ ვითარებას? აღწერა მხოლოდ აღწერის დროინდელ ვითარებას ასახავს. საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთის ტერიტორია მთლიანად ნამდვილად არ იყო ოსთა განსახლების არეალი. XVIII საუკუნის ბოლოს ოსები ჯერ კიდევ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში იყვნენ განსახლებული. ქსნის ხეობაში ოსები უმცირესობას შეადგენდნენ და აღნიშნულ დროს ისინი აქ მხოლოდ უამურსა და ჭურთის ხეობის ზემო ნაწილში ცხოვრობდნენ. ფრონეების ხეობაში (საბჭოთა პერიოდის ზნაურის რაიონში) ოსები ფაქტობრივად არსად არ ცხოვრობდნენ. აქ მათი დასახლკარება 1830-იან წლებიდან დაიწყო. როგორც ჩანს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართულ მოსახლეობას ღ. ჩიბიროვი ქართველებად არ მიიჩნევს. ჩვენ ზუსტი საარქივო მონაცემები გაგვანჩნია XIX საუკუნეში ოსთა შიდა ქართლის მთებიდან მთისწინეთსა და ბარში გადასახლებისა, სად, რომელ სოფელში მთის რომელი სოფლიდან რომელი გვარები და რა რაოდენობით მიგრირდნენ. გაურკვეველია „საქართველოს თითქმის ყველა“ რომელ რაიონებში ცხოვრობდნენ XVIII საუკუნის ბოლოს ოსები. ე. წ. სამხრეთ ოსეთის გარეთ, დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ოსების მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. საბედნიეროდ გაგვანჩნია, XVIII საუკუნის II ნახევრის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების (დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეების ხეობების) აღწერის დავთრები, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში დასახლებულ გეოგრაფიულ რეგიონში ოსური მოსახლეობა საერთოდ არ ცხოვრობდა².

² აპოლონ თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე

მეორე ტყუილი, რომელიც ოსური ეთნოსის კავკასიაში ფორმირებას ეხება ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოთი და ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისითაა დათარიღებული. ამ ფორმირებაში თურმე ყველა ირანულენოვანი ეთნიკური ერთობა (კიმირიელები, სკვითები, სარმატები, ალანები) მონაწილეობდა, რომლებიც კი ევრაზიის სივრცეში მომთაბარეობდნენ. უმჯობესია ციტატა მოვიხმოთ: «Начиная с I тыс. до н. э., через перевалы Центрального Кавказа (Дарьяльский и Мамисонский) систематически проникали с севера на юг и обратнo ираноязычные племена кимeрийцев и скифов, вступавшие в контакт с местными племенами. Массовое расселение на Северном Кавказе новой волны иранских племен – сарматов и алан в конце I тыс. до н. э. – нач. I тыс. н. э. имело следствием завершение процесса асимилации местных племен в ираноязычной среде и формирование на Центральном Кавказе качественно новой народности – алан-осетин». ოსი „მეცნიერების“ გარდა ამ მითის არავის სჯერა. თურმე ოსური ეთნოსის ფორმირებისათვის კიმირიელებსა და სკვითებს მიუციათ დასაბამი, რომლებიც ცენტრალური კავკასიიდან სამხრეთით გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ. ეს „ორიგინალური“ კონცეფცია ოსთა ეთნოგენეზის შესახებ ი. გაგლოითის შექმნილია, რომლის მიხედვითაც, მართალია, ოსი ხალხის ეთნიკურ საფუძველს ირანულენოვანი მომთაბარეები წარმოადგენდნენ, რომლებმაც ადგილობრივი კავკასიელების ასიმილაცია მოახდინეს, მაგრამ ამასთანავე სწრაფი ასიმილაცია იმით ყოფილა განპირობებული, რომ კავკასიის ავტოქტონურ ტომებს შორის ჩრდილოირანული ენების მატარებელი ყოფილან. საინტერესოა, რომ ოსთა ამ და სხვა ანალოგიურ ასირებებს ვ. შნირელმანმა „სკვითომანია“ უწოდა.³ კავკასიელთა ასიმილაციის პროცესი სხვადასხვა

სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013. *Apolon Tabuashvili. THE CENSUS BOOKS FOR THE TOWN OF TSKINVALI AND ITS ADJACENT VILLAGES. 2 nd HALF OF THE 18 th CENTURS*, Tbilisi, 2013.

³В. А. Шнирельман. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье. – М., 2003, С. 471-503.

ირანული ტომების მიერ თითქმის ერთი ათასწლეული გაგრძელებულა და ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე სარმატებსა და ალანებს დაუმთავრებიათ. არცერთი სერიოზული მეცნიერი ასეთ ნონსენსს ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევს. თუ *ლ. გუმილიოვის* ნაშრომებში მაინც ჩავიხედავთ შუა აზიიდან მოსული ალანები ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან მხოლოდ ევრაზიის სივრცეში – ვოლგასა და აზოვის ზღვას შორის ტერიტორიაზე მომთაბარებდნენ. მთებში კი მხოლოდ მონღოლთა შემოსევების შემდეგ შემოვიდნენ (აქ მხედველობაში არა გვაქვს დიგორი, სადაც ოსები VI საუკუნეში ავარების შემოჭრის შემდეგ დასახლდნენ). საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამხრეთით ლაშქრობებისას სკვითებს არასდროს არ უსარგებლიათ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში არსებული რთული გადმოსასვლელით; საამისოდ ისინი კასპიის ზღვის დასავლეთ საანაპიროს მიუყვებოდნენ და დარუბანდით გადიოდნენ წინა აზიაში. მაგალითად, დარიალიდან მოტრიალებულმა სკვითებმა ეს გზა გაიარეს ასირიის მეფის სარგონის მეფობისას (ძვ. წ. 722-705 წწ.), რომლებიც ურმიის ტბის ნაპირებზე აღმოჩნდნენ. ადგილზე დარჩენილები კი სამხრეთ რუსეთის სტეპებში დამკვიდრდნენ. არქეოლოგების მიერ სკვითთა სამარხები სად აღარაა აღმოჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ასეთი სამარხების ყუბანურ, ტამანურ, ყირიმულ, დნეპრისპირეთის, დონის, კიევის, პოლტავის, ვოლგის, ურალის, ალტაის, ჩრდილოეთ მონღოლეთის, გერმანიის, უნგრეთისა და რუმინეთის ჯგუფებს, მაგრამ არსად მიუთითებენ მთის და მთისწინეთის კავკასიური ჯგუფის შესახებ⁴.

მესამე ტყუილი ის გახლავთ, რომ ცენტრალური კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე ოსების შორეული წინაპრები თურმე ცხოვრობენ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. **«Многочисленные исторические источники свидетельствуют о пребыванию далеких предков осетин на южных склонах Центрального Кавказа, начиная с I тыс. до н. э., со скифо-сарматских времен. В последующие эпохи новую волну**

⁴Тамара Талбот Райс. Скифы. М., 2004, С.38, 212-215

массового переселения алан на юг *Б. Скитский, З. Ванеев, Е. Пчелина* связывают с нашествием гунов (V-VI вв.). О систематическом пребывании алан в Закавказье в I тыс. н. э. свидетельствуют как исторические анналы, так и обнаруженные здесь аланские погребения (VII-IX вв.). Новые процессы миграции и оседания алан-осетин на юге Центрального Кавказа был вызван разгромом татари-монголами Аланского государства на Северном Кавказе».

რა უნდა ითქვას ამ სიყალბეზე? პირველ რიგში იმას უნდა გაესვას ხაზი, რომ ოსი მეცნიერები მიზანმიმართულად უკვე დიდი ხანია არ ახსენებენ საქართველოს, მათთვის ეს ქვეყანა და ქართველი ხალხი არ არსებობს და ის ჩაანაცვლეს უფრო ზოგადი ცნებით „კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით“, „სამხრეთ კავკასიით“ და ა. შ. არავითარი მრავალრიცხოვანი საისტორიო წყაროები ოსებისა და მათი წინაპრების საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ არ არსებობს არც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან და არც თითქმის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ვიდრე XVI-XVII საუკუნეებამდე. კატალონიელმა ავტორმა *აუგუსტ ალემანმა* მსოფლიოში არსებული ყველაენოვანი წყარო მოიძია, თარგმნა და სათანადო კომენტარებით გამოსცა, რომელიც მალევე რუსულ ენაზეც გამოიცა⁵. დიახ, ამ შესანიშნავ წიგნს თუ გულისყურით წავიკითხავთ, აღმოვაჩნებთ, რომ არცერთ ანტიკურსა და შუა საუკუნეების მემატრიანესთან საქართველოს სიახლოვეს არსად აღან-ოსები მოხსენიებული/დაფიქსირებული არ არიან. ასე რომ, ყველა ვინც სამხრეთ კავკასიაში ანუ საქართველოში ოსების და მათი წინაპრების მკვიდრობაზე საუბრობს, არის ისტორიის გამყალბებელი და მითოლოგიების შემქმნელი, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ. არც ჰუნების შემოსევების დროს მომხდარა მათი მიგრაცია სამხრეთით, რასაც, თურმე, *სკიტსკი, ვანევი* და *ჩელინა* ადასტურებენ. სხვათა შორის, სტატიის ბოლოს მითითებულ ლიტერატურის ჩამონათვალში არც ერთი ამ ავტორის ნაშრომი დასახე-

⁵Аугуст Алеман. Аланы в древних и средневековых письменных источниках. – М.: Издательство «Менеджер», 2003.

ლებული არაა. დადასტურებულია, რომ არც მონღოლ-თათართა შემოსევების დროს მომხდარა ოსების საქართველოში მიგრაცია, თუმცა საამისო მცდელობა კი ჰქონდათ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამის მსურველი მოთარეშე ოსები მეფემ *გიორგი ბრწყინვალემ* ჩრდილოეთ კავკასიაში გადაყარა და საქართველოში შემოსასვლელი *კასრის კარი* საიმედოდ ჩაკეტა. მკითხველის საყურადღებოდ ხაზი უნდა გაეუსვას, რომ საქართველოში ოსთა ოდითგანვე მკვიდრობის მითს 1930-იან წლებში *ზ. ვანგეშ* ჩაუყარა საფუძველი. მისი აკვიატება ოსთა ისტორიის „გალრმავება“ იყო. ის ქადაგებდა, რომ პოსტმონღოლურ პერიოდში სამხრეთით ოსების გადასახლება არ იყო მათი მიგრაციის საწყისი ეტაპი და რომ ეს იყო მხოლოდ ერთი-ერთი ტალღა, რომელსაც წინ მრავალრიცხოვანი წინამორბედი მიგრაციები უძღოდა. აკვიატებულ მოსახრებებს წყაროები არ ჭირდებოდა. ასეა ენციკლოპედიის ავტორებისათვის.

ენციკლოპედიის ავტორები და მისი მთავარი რედაქტორი მკითხველს უმაღავენ ალან-ოსების ეთნიკური ერთობის კავკასიის მიღმა ჩამოყალიბების არგუმენტირებულ შეხედულებებს. ჩვენს ნაშრომს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება დავასახელოთ კეფეროვი, რაევი, სკრიპკინი, იაცენკო, გაბუევი, ცუციევი და სხვები, რომლის მიხედვითაც ისინი მოსული არიან ცენტრალური აზიიდან (და სამხრეთ ციმბირიდანაც კი). სხვათა შორის, 2012 წელს მოსკოვში გამოცემულ შემაჯამებელ ეთნოგრაფიულ წიგნში⁶ ხაზგასმულია, რომ „მიგრაციონისტების“ სამეცნიერო პოზიციები“ არსებითად განმტკიცდა XX საუკუნის 80-90-იან წლებში, მას შედეგ, რაც აღმოჩნდა და მეცნიერულად შესწავლილი იქნა მრავალრიცხოვანი მომთაბარული ძეგლები, რომლებიც ახ. წ. I-II საუკუნეებით თარიღდება (მათ შორის, ბელადების განსაკუთრებულად მდიდრულად დაკრძალვის ფაქტები ქვემო დონზე). ამას გარდა, არსებობს ალან-ოსების ფორმირების ე. წ. „სასაზღვრო“ („пограничный“) ვერსიაც, რომელიც *ლ. მაღულაევი*ს ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც ალანების ფორმირება ორ რაიონში მოხდა: ა)

⁶ Осетины, 2012, М., С. 60.

სარმატების სამხედრო-დემოკრატიული გაერთიანება ცენტრით დუნაისპირეთ-ყუბანისპირეთში და ბ) „ხორეზმისა და სირ-დარიის სარმატიზირებული დაკო-მასაგეტური, საკური გარემო“. არსებობს აგრეთვე ჰიპოთეზა, რომ თავდაპირველად ტერმინით „ალანი“ იყო არა ეთნიკური, არამედ სოციალური, რომელიც აღნიშნავდა სხვადასხვა სარმატული ტომების სამხედრო ფენას.

სტატიას თან ახლავს ბ. კალოვეის წიგნიდან გადმობეჭდილი რუკა – „ოსური საზოგადოებები XV-XVIII საუკუნის დასაწყისში.“ რუკა რეალური ფაქტების ამსახველი არაა. XVIII საუკუნის დასაწყისში ოსებს მხოლოდ შიდა ქართლის მთიანი მონაკვეთი, დვალეთი და თრუსო ჰქონდათ დაკავებული. არა და, რუკის მიხედვით საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის“ ყველა პუნქტში ისინი ცხოვრობდნენ. უფრო მეტი, ხევი მთლიანად (ყაზბეგის რაიონი) თროსოდაა სახელდებული და მათი განსახლების არეალად გამოცხადებული. რუკაზე საქართველოსა და ოსეთს შორის საზღვარი თერგის ხეობაში ლარსის სამხრეთითაა ნაჩვენები. რახან სიტყვამ მოიტანა უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი არა ლარსზე, არამედ უფრო ჩრდილოეთით სოფელ ჩიმზე გადიოდა: **„და ამ გზაზედ ჩიმი არის, რომელიც საზღვარი არის...“**⁷. არც თეთრი (მთიულეთის) არავის სათავე – *ღუდა* – დაივიწყეს, რომელსაც, ისევე როგორც სხვა ტოპონიმებს, სახელი შეუცვალეს და *კუდის* საზოგადოება უწოდეს. იმავე რუკაზე, ბუნებრივია, ცალკეა წარმოდგენილი *მდრან-დვალეთი* ანუ როგორც მას ოსები უწოდებენ – *„ურს-თუალთა“*. ეს რეგიონი დიდი ღიახვის ხეობის სათავეში სულ ცხრა სოფლის ერთობლიობას მოიცავდა. რუკაზე ოსური საზოგადოება – *ურს-თუალთა* – უფრო ფართოდაა მოხაზული და მასშია შეყვანილი სოფლები *სბა, როკა* (ოსურად – „რუკ“) და სხვ. ენციკლოპედიის 273-გვერდზე დაბეჭდილია ყალბის-მქმნელი ბ. კალოვეის სხვა რუკაც, რომელიც მისი წიგნი-

⁷ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, III/1, თბ., 1988, გვ. 361.

დანაა⁸ გადმობეჭდილი, რომელსაც ჰქვია „ოსური ტომების განსახლება მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ.“ ამ რუკაზე ოსები სამ ჯგუფად/ტომად არიან წარმოდგენილი: *დიგორელები*, *ირონელები* და *თუალელები* ანუ *დვალები*. რუკის შემდგენელი ტყუილს არა მხოლოდ სამხრეთის მიმართულებით ასახვს, არამედ ჩრდილოეთის მიმართულებითაც. ცნობილია, რომ ოსებმა ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან (*ალაგირი*, *ქურთაული*, *თაგაური* და *დიგორი*) გადასახლება XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყეს, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლის შემდეგ. მაგრამ რუკის მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში XVII საუკუნიდან გადასახლებულან და მხოლოდ XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან დაუწყიათ აღნიშნული სამი ტომის წარმომადგენლებს მოზდოკის მხარეში ჩასახლება. აქაც ფაქტის გაყალბებასთან გვაქვს საქმე. მოზდოკის მხარეში ოსების მთიდან მიგრაცია XIX საუკუნით თარიღდება. ახლა გასაგებია რატომაა *ბეროზოვის* მონოგრაფია იგნორირებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსებს ინგუშეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ე. წ. *პრიგოროდნი* რაიონი მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მიაკუთვნეს. მაგრამ რუკა გვაუწყებს, რომ აქ ისინი უკვე XVII საუკუნიდან ცხოვრობდნენ. ახლა რაც შეეხება სამხრეთის მიმართულებას, ანუ საქართველოს ტერიტორიას. თურმე XIII საუკუნემდე *თუალეები/დვალები* (რომლებიც მათ ოსები ჰგონიან), *დვალეთს* გარდა, საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთის მთებსა და მთისწინეთში ყველგან ცხოვრობდნენ, მათ შორის, *კუდაროშიც*, *ზემო იმერეთშიც* (ყვირილას ხეობის სათავეებში), *თროსოსა* და *ხევშიც*, თეთრი არაგვის ხეობის სათავეშიც. როდის იკავებენ „ოსი თუალელები/დვალები“ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბარის ნაწილს? – XIII საუკუნიდან. ამ ტერიტორიებზე ქართველთა ნასახი არ ყოფილა. აქ ერთ დიდ მამაბაღლობას აქვს ადგილი. ყველა სამეცნიერო ლიტერატურაში ოსების მხოლოდ ორ ჯგუფზე/ტომზეა ღაპარაკი – *ირონელებსა* და *დიგორელებზე*. ახლა სპეციალუ-

⁸ Б. Калоев. Осетины», Изд. 2-е. М., 1971.

რად, ხელოვნურად გამოყოფენ ე. წ. მესამე – *თუაღელ-თა/დვალთა* – ტომს/ჯგუფს და მათ ოსობას „ამტკიცებენ“, რათა მკითხველი დააჯერონ XIII საუკუნემდე კავკასიის ქედის სამხრეთით კომპაქტური ოსური დასახლებების არსებობის შესახებ.

ცნობილია რომ, ოსურ გადმოცემებში განსაკუთრებული ადგილი უკავია *ოს-ბაყათარს*. ბუნებრივია, ოს-ბაყათარი ენციკლოპედიაში სათანადოდაა წარმოდგენილი. ჩვენც ეს მითიური, თუ რეალური პერსონაჟი ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში გვაინტერესებს. ისიც ცნობილია, რომ ქართველი მემატიანის *ჯუანშერის* თხზულებაში მოთხრობილია *ვახტანგ გორგასლის* ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა და *ბაყათართან* (არა ოს-ბაყათართან!) შებრძოლება. მიზეზი ოსთა მიერ მეფის დის გატაცება იყო. საისტორიო წყაროს ეს თხრობა ენციკლოპედიის შესაბამისი სტატიის ავტორს შებრუნებული აქვს და საერთოდ არ ახსენებს ქართველ მემატიანეს და როგორც ლეგენდას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ოს ხალხს ვახტანგ მეფისა და ოს-ბაყათარის შებრძოლების კოლექტიური მახსოვრობა საუკუნეების განმავლობაში შემორჩა. ამავე დროს, ვახტანგი ფიცის გამტეხ მეფედაცაა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, თურმე, ეს ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის ველებში კი არა, საქართველოში – მდინარე მტკვარზე მოხდა. ე. ი. მდინარე მტკვრის ხეობა V საუკუნეში ოსთა განსახლების არეალი იყო. აი, ამონარიდი ენციკლოპედიიდან: «Согласно другой легенде, в оторчестве царевича Вахтанга Горгасала (V в.) в Картли вторгся О.-Б., похитил сестру царевича и взял ее наложницы. Когда Вахтанг возмужал, он собрался в поход против О.-Б., поведав об этом своей сестре. Сестра умоляла отказаться от своего замысла, т.к. знала, что О.-Б., – великан, лишивший жизни многих прославленных героев. Вместе с тем, она поведала брату, что убить его можно лишь, нанеся ему удар в подмышку. Вахтанг нарушив клятву, начал стрелять в О.-Б. при переходе им Куры; стрела попала в подмышку О.-Б. и был убит. Вахтанг вторгся в Осетию и освободил свою сестру». მოყვანილ ციტატაში არცერთი წინადადება სიმართლეს არ შეეფერება. ესაა ლეგენდა ოსი ავტორების მიერ შექმნილი. წყაროში არსადაა მითითებული,

რომ თავისი ლაშქრობის შესახებ ვახტანგმა თავის დას აუწყა, რომ და ევედრებოდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე. მითუმეტეს, არც ისაა ნათქვამი, რომ თითქოს დამ აუწყა ვახტანგს, როგორ შეიძლებოდა ბაყათარის მოკვლა. ვახტანგი ფიცის გამტეხივ ყოფილა და ბაყათარს სროლა დაუწყეო მდინარე მტკვრის გადალახვისას (წყარო კი გვაუწყებს, რომ ვახტანგმა „განვლო კარნი დარიალანისანი“) და ასე მოკლა ოსთა გოლიათი და უძლეველი ადამიანი. სტატიაში ვახტანგ გორგასალი არა მეფედ, არამედ უფლისწულადაა გამოცხადებული. ესაც დიდი ტყუილი. მართალია იმ დროს ის თექვსმეტი წლის გახლდათ, მაგრამ მეფე იყო და ლაშქრობაში წასვლისას ტახტის მემკვიდრეუდაც ზრუნავდა. „ქართლის ცხოვრებაში“ იმაზე კი არის საუბარი, რომ ვახტანგს მხარში სხვა კავკასიელებიც ედგნენ, კერძოდ, რანის ერისთავი და „ყოველნი მეფენი კავკასიისანი“. ამ ინფორმაციის მიწოდება ენციკლოპედიის შემდგენლების ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა.

ენციკლოპედიაში ცალკე სტატია აქვს დათმობილი ოსთა მთიდან ბარში გადასახლებას. ისევე როგორც სხვა მონაკვეთებში, აქაც ოსების საქართველოს მთიდან ბარში გადასახლების პროცესი არარეალობას ასახვს. მაგალითად ხაზი ესმის, რომ თანამედროვე *გორის*, *ხაშურის*, *ქარელის* რაიონებში ცალკეული ოსური დასახლებები შეინიშნება XIII-XIV საუკუნეებში. მოყვანილია რეალური ფაქტი XIV საუკუნის შუა ხანებში ოსთა ასი ოჯახის *დმანისში* დასახლების შესახებ. მაგრამ აღნიშნულია, რომ მასობრივი მიგრაცია საქართველოს დაბლობში მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ მიმდინარებდაო. ქართველ მეცნიერთა მიერ ოსების საქართველოს როგორც მთაში, ისე ბარში მიგრაცია სათანადოდაა შესწავლილია. ამ ნაშრომებს ოსი მეცნიერები საერთოდ გვერდს უვლიან, ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევენ, თითქოს ისინი არც არსებობს და უხეშად რომ ვთქვად, „თავის გაქირხე არიან“. მთელი სერიოზულობით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს არც მთასა და არც ბარში გვიან შუა საუკუნეებამდე ოსური დასახლებები არ ყოფილა (დვალებში – XVI საუკუნიდან, შიდა ქართლის მთიანეთში – XVII საუ-

კუნის შუა ხანებიდან). დმანისში მართლაც მოხდა ოსთა დასახლება, მაგრამ მომდევნო პერიოდებში ისინი აქ აღარ ჩანან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქვემო ქართლში თვით ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, საგარეო ფაქტორის გამო, რამდენჯერმე შეიცვალა და, ბუნებრივია, არც ოსები იყვნენ გამონაკლისი. ვერც ლ. ჩიბიროვი და ვერც სხვა ოსი მეცნიერი ვერ მოიყვანს წყაროს ქართლის დაბლობში XIII-XIV საუკუნეებში ოსური დასახლებების არსებობის შესახებ. ბუნებრივია, მონღოლთა შემოსევების შემდეგ საქართველოს ბარში არავითარი ოსთა მასობრივი მიგრაცია არ ყოფილა, მასობრივი კი არა და ინდივიდუალური მიგრაციის ფაქტებიც არ ყოფილა. მაშინ ოსები მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის, ქურთაულისა და თაგაურის ხეობებში შევიდნენ. კი ჰქონდათ მცდელობა დარუბანდიდან შემოსულ ოსებს ქართლის ბარში დასახლებაზელი ადგილები მოეპოვებინათ, მაგრამ მათ ამ მცდელობას მათივე ქმედებებმა – მოსახლეობის ძარცვა-დარბევამ – შეუშალა ხელი. გიორგი ბრწყინვალემ ისინი დვალეთის გზით ანუ კასრის კარით გადარეკა ჩრდილოეთ კავკასიაში და აღნიშნული კარი ისე ჩაკეტა, რომ საქართველოში ვეღარ მოეხერხებინათ გადმოსვლა. კიდევ ვიმეორებთ: ოსი მეცნიერები წყაროებთან და ფაქტებთან მწყრალად არიან, სასურველს რეალურად აცხადებენ. ეს კი მეცნიერება არაა. ამ სტატიის ბოლოს ისეთი ნაშრომებია მითითებული, რომლებიც მითითებული არ უნდა იყოს და რეალური მიგრაციის ამსახველი სტატიები თუ მონოგრაფიები უგულვებელყოფილია.

ცალკე სტატია ეთმობა *პატარა ლიახვის* ხეობას (ГЫЩЦЫЛ ЛЕУАХИГОМ). დასაწყისიშივე ხაზგასმულია, რომ ხეობაში ქართული ტოპონიმები და არქიტექტორული ნაგებობები არ არსებობს, რაც თურმე იმაზე მიანიშნებს, რომ ხეობა თავიდანვე ოსებით იყო დასახლებული [«Отсутствие грузинской топонимики и архитектурных сооружений свидетельствует о том, что ущелье было изначально заселено осетинами»]. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! უეცილობასა და ფაქტების შეგნებულ გაყალბებას საზღვარი არა აქვს. არადა ხეობის ტოპონიმები მთლიანად ქართულია, თუ არ

ჩავთვლით გვიან ოსთა მიგრაციის შედეგად წარმოქმნილ ტოპონიმებს და იმ ტოპონიმებს, რომლებსაც ქართული ქლერადობა შეგნებულად ოსური ქლერადობით შეუცვალეს. მადლობა ღმერთს, ამ ქართული ტოპონიმების უმრავლესობა ქართულ დოკუმენტებში დაფიქსირებულია და მათი დათარიღებაც თავისუფლად ხერხდება. ამ სოფლებს ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც ჩამოგვითვლიან. რომელი ერთი დავასახელოთ: **საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერისხევი, ზონკარი, შუაცხვირი/შუაცხვერი** (1662 წელს ეს სოფელი ქსნის ერისთავს იკორთის ტაძრისათვის შეუწირავს⁹), **სიათა, განასური, ინაური** (ამ სახელწოდებით ორი სოფელი იყო პატარა ღიახვის ხეობაში. ოიკონიმი „ინაური“ იმაზე მიუთითებს, რომ ეს სოფლები ქართველი ინაურების გვარით იყო დასახლებული. იგივე ითქმის სოფლების – ლაცაურისა და ხადურების – შესახებ), **ჩაბარუხეთი, წიფორი, შამბიანი, ვანათი, შურიული, ყლარცივი, მეფარეთი, გერი...** საინტერესოა, რომელი არაა გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი? იქნებ -ურ, -ხევი და -კარი სუფიქსებიც არაა ქართული? აქვე იყო სოფლები: **ლაცაური, ხადურები, დმენისი, ქსუისი, ჭვარები, საბოლოკე, ციხიათა, ფაჩური** (ამ სოფელში ფაჩურის გვარისანი ცხოვრობდნენ, რომლებიც სოფელ ტყვიავში გადასახლდნენ და ადგილობრივი ქარელების გვარი მიიღეს)... როგორც არ გინდა ამ ტოპონიმებს ოსური ქლერადობა მისცენ, ფონეტიკურად შეცვალონ, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჩამოაცილონ, მაინც მათ ქართულობას ვერაფერს დააკლებენ. ასე აქციეს შუაცხვირი სიაცხურად, შურიულს „შულაურ“ დაარქვეს, მეფარეთს – „ნეპარეტ“, ჭვრიას – „გვრია“, გერს – „ჯერი“. გერი კი თავისი წმიდა გიორგის სალოცავით „ჯერის ძუარად“ აქციეს და ოსების ცენტრალურ სალოცავად გამოაცხადეს. ეს ის გერია, სადაც შიდა ქართლის მთელი მოსახლეობა დაიარებოდა სალოცავად. მას ქართლის მოსახლეობისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ისინი, ვინც თავგერში ვერ მიდიოდნენ, სოფლებში არსებულ გერის წმიდა გიორგის ნიშთან ასრულებდნენ

⁹ ქრონიკები, II, გვ. 25.

სათანადო რიტუალს. ენციკლოპედიის სტატიის ავტორი კი იმას აღნიშნავს, რომ ჯერი/გერი აგრეთვე ცნობილი იყო საქართველოს მეზობელი რაიონების მცხოვრებთათვისაც. გერი და გერისთავი 1617 წლის დოკუმენტშია (ბუნებრივია, ქართულ დოკუმენტში!) მოხსენიებული: „ესე წიგნი მოგახსენე სუეტსა ცხოველსა მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ... ასრე რომ ჩენი სამკვიდრო გერი და გერისთავი სუეტიცხოველისათვის შეეწირა მეფეთა (ბუნებრივია, ქართველ მეფეებს!), კიდევ არბო, სეგნასმანი სუეტისა ცხოველისა იყო...“¹⁰

XIX საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში ქართული მოსახლეობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო (იოანე ბაგრატიონი: „პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა“¹¹).

პატარა ლიახვის ხეობის დარად ცალკე სტატიაა მიძღვნა დიდი ლიახვის ხეობას. თუმცა მისი მთის მონაკვეთი აქ ДЗАУЫ КОМ-ის სახელითაა წარმოდგენილი. ეს „ძაუი კომი“ კი არც მეტი არც ნაკლები ჯავის ხეობაა, რომელსაც ასევე ოსურ ყაიდაზე გარდაუქმნეს სახელი და ტოპონიმის ტრადიციული ქართული ფორმაც დაამახინჯეს. ბუნებრივია, თუ პატარა ლიახვის ხეობა გამოაცხადეს ოსთათავდაპირველი განსახლების არეალად, იგივე გაიმეორეს ჯავის ხეობის მიმართაც. ჯავის „ქვეყანაში“ გარდა დიდი ლიახვის ზემო და შუა დინებისა, მისი შენაკადი ფაცა-ქეშელთის (ოსურად – „ჩესელთდონ“) ხეობაც არის შეტანილი. როგორც სხვაგან (კუდაროში და ქეშელთის ხეობებში), ჯავის ხეობის დასახლებაც (რა თქმა უნდა, ოსების!) შორეულ ეპოქას ეკუთვნის, რასაც ადასტურებს, თურმე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები, და აგრეთვე მისი მცხოვრებლების მეტყველების განსაკუთრებული კილო (чокающий). **«Относясь к иронскому диалекту, дзауское наречие имеет существенные фонетические различия с североосетинским иронским диалектом, что объясняется дли-**

¹⁰ ქრონიკები, II, გვ. 441.

¹¹ ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 38

ტელნიმ სამოსთაყელნიმ რავნიტნიმ ვ ოტრივე ოტ ოსნოვიი ჩატი ეტნოსა.» უფრო მეტიც, *ო. გავლოთი* „სამხრეთ ოსთა“ „ჯავურ დიალექტს“ სკეითებისაგან დანატოვრად მიიხნევედა. მაგრამ მას ის ავიწყდება, რომ ლინგვისტები ჯავურ დიალექტზე არსად არ საუბრობენ და, რომ ე. წ. სამხრეთელი ოსებიც ირონულ დიალექტზე საუბრობენ, ისე როგორც ჩრდილო ოსეთის მოსახლეობის უმეტესობა. ასე რომ, ყველანაირად ცდილობენ, რაც შეიძლება დააძველონ საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი ცხოვრების ფაქტი. და, რა თქმა უნდა, ამ სტრიქონების ავტორმა *ლუდვიგ ჩიბიროვმა* კარგად იცის, რომ სიყალბეს წერს, მაგრამ მთავარია ეს შეთხზული მითი ვიდაცას დააჯერო. აქ ერთი კითხვა ჩნდება: ბატონო ჩიბიროვო, თქვენი თანამემამულეები უკანასკნელი წლების განმავლობაში ვერ უარყოფენ რა ოსების საქართველოს ტერიტორიაზე 10-12 თაობის წინ გადმოსახლების ფაქტს (გაიხსენე *ზ. ვანეევისა* და *გ. მამითის* ნაშრომები), შექმნეს „უწინდელი ოსების“ ცნება. მართალია, ჩვენ აქ მოსული ვართ XV საუკუნეში (სინამდვილეში კი XVII საუკუნის შუა ხანებიდან), მაგრამ აქ, ამ ტერიტორიაზე უფრო ადრე უწინდელი ოსები ცხოვრობდნენ, რომლებიც აგრესორმა ქართველებმა გააქართვევესო. ეს ორი კონცეფცია როგორ ესადაგება ერთმანეთს? თუ გაქართველდნენ უწინდელი ოსები და შემდეგ აქ ახალი ტალღა მოვიდა, ეს უწყვეტი ენობრივი ტრადიცია, განსაკუთრებული კილო-კავი როგორღა შეინარჩუნეს? ჯავის ხეობაში ფორმირებულან ხუბულოვების, გაგლოევეების ძველი საგვარეულო ჯგუფები. როგორც ჩანს, *ზ. ვანეევის* წიგნი ამ ავტორისათვის არ არსებობს, სადაც მოხმობილია აურაცხელი ეთნოგრაფიული მასალა თითოეული ოსური გვარის ალაგირიდან გადმოსახლების შესახებ 10-12 თაობის წინ.

თურმე *ხარებოვების* გვარი „ძველი ერისთავთაშია“ მოხსენიებული. ძველში ხარებოვისა კი არა და *ხარებაშვილის* ქართული გვარია მოხსენიებული. ხარებაშვილის გვარის (ისევე როგორც ცხოვრებაშვილ-ცხოვრებოვებისა) ფუძე გამჭვირვალე ქართული სიტყვაა. ეს ქართული ანთროპონიმი შუა საუკუნეების საქართველოში ფრიად პოპულა-

რული იყო, მათ შორის, შიდა ქართლშიც. ეს ქნოლოგი ხარებაშილები შემდეგ საუკუნეებში მეჯუდას ხეობის სოფელ *ზახორში* ცხოვრობდნენ. XVII საუკუნის II ნახევრის საბუთით ხარებაშილები *ღაზნელების* ყმები იყვნენ. ამავე დოკუმენტით *ხარება ხარებაშილი* სოფელ იგოეთში ცხოვრობდა. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ხარებაშილის გვარია მოხსენიებული 1537 წლით თარიღდება. ისინი ქვემო ქართლის სოფელ ავაზანში ცხოვრობდნენ და ბარათაშილების ყმები იყვნენ. 1582 წლის საბუთში კახეთის სოფელ იფიანში (ხოდაშენის მახლობლად) დასახელებულია *ხარება ვაშაყბაშილი*. 1696 წლის საბუთში კი მოხსენიებულია *ხარება ვარამაშილი*. შიდა ქართლში, სოფელ ხვითში *ხარებაძეებიც* მკვიდრობდნენ. აქ ისინი 1527 წლის დოკუმენტში არია ნახსენები. ამავე პერიოდში ხარებაძეები იმერეთში, სოფელ როკითშიც მკვიდრობდნენ. ზემოთ ვნახეთ, რომ ერთ-ერთ ხარებაშილს სახელი „**ხარება**“ ერქვა. ქართული ანთროპონიმი *ხარება* არაერთხელაა მოხსენიებული საბუთებში¹². საბას განმარტებით, „ხარება – სასიხარულოს თქმაა“. არცერთი ფაქტი არ დასტურდება ამ ანთროპონიმის ოსურ ეთნიკურ სამყაროში გავრცელების შესახებ. ხარებოვების გვარი სწორედ გაოსებულ ქართულ გვართა რიცხვს მიეკუთვნება. ამ სტატიაში რეალურ ფაქტს ავტორი მაინც გვერდს ვერ უვლის და აღნიშნავს, რომ ქეშელთის (ჩესელთის) საზოგადოების ყველა მცხოვრები ალაგირის ხეობიდან და დვალეთიდან (თუალგომიდან) იყო გადმოსახლებული. ჯავის ხეობაშიც ყველა ძველი ქართული ტოპონიმი მიზანმიმართულად დამახინჯებულია, მაგრამ მაინც დარჩა ისეთები, რომელთა ქართულობა არავის ეჭვს არ აღუძრავს: *გუფთა, ფაცა, მსხლები, ბუზალა, მუგუთი, თხელი, წიფრანი, ლიცი* (სვანურად წყალია. შეადარე ქართული – ლიცლიცი), *თხელი, ტონტობეთი, ხიხათა* (ასეთი ტოპონიმი მთიან აჭარაშიცაა), *აბანო, მასხარა* (მაშხარად აქციეს)...

დიდი ღიახვის ხეობაში ოსების მიგრაცია XVII საუკუნის შუა ხანებში რომ დაიწყო, ამის შესახებ ჩვენ სათანა-

¹² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, გვ. 363-364.

დო საისტორიო მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალა ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გვაქვს წარმოდგენილი. აქ კიდევ ერთ დოკუმენტს დავუმატებთ. გაგვაჩნია 1633-1658 წლებით დათარიღებული *როსტომ მეფის* მიერ გაცემული უვნებლობის ბრძანება, რომლის მიხედვითაც *თომეშვილი ხონთქარა* და მისი შვილი *ხაჩი* ოსეთიდან გადმოსახლებულან და დიდი ღიახვის ხეობის სათავეში – *როკას* დასახლებულან. *როსტომ მეფემ ოსი მოახალშენეების უვნებლობის ბრძანება გასცა*¹³. აშკარაა, რომ დასახლებულ პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა ოსეთიდან საქართველოს მთიანეთში ოსთა მიგრაციის პროცესი. XVIII საუკუნის ბოლოს მიუხედავად მცხოვრებ ოსებს უკვე დაბლობში გადასახლების ტენდენცია გაუჩნდათ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გადასახლებები მხოლოდ ინდივიდუალური იყო; მათი ჯგუფური მიგრაცია ამ მიმართულებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. XVIII საუკუნის ბოლოსაც გადმოსახლების მსურველ ოსებს ქართლ-კახეთის მეფე ხელს უწყობდა. თქმულის დამადასტურებელია 1779 წლის დოკუმენტი, რომლითაც დვალეთის ზრამაგას ხეობიდან ჩამოსული მეფეს მიმართავს: „ღმერთმან... ხელმწიფის ჭირი მისცეს... ელყანაშვილს ივანეს ზრამაგელს... შემოდგომაზე რომ თქვენ გორს ბრძანდებოდით, მიბძანეთ, ჩამოდი და მამულს მოგცემო. თქვენის ბძანებით ავიყარე და ჩამოველ; ცოლით შვილით ცხინვალს გახლავართ. თუ ჩემთვის წყალობა გინდათ, აჩაბეთს სამი საღალო მამული გაქვსთ, ერთი მე მიბოძეთ; იმ ორის საკვამლოსთინაც კაცს ვიშოვნო, ზედ დავდგებით. ამას გარდა, ორი თვე აქ ცხინვალს გახლავართ, არც ერთი კვირის სარჩო არ ჩამომყოლია... ცოტა სულადის წყალობა მიყავით... [მეფის ოქმი]: ...რომელიც ცხინვალის მამასახლისი იყოთ, აჩაბეთს სამი საღალო მიწა არის ჩვენი, ერთი ამ ელყანაშვილს მიეც და იმ ორის-

¹³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 1993, გვ. 315.

თვისაც, როცა დასასახლებლად კაცი ჩამოიყვანოს, იმაზედ დააყენებინე“¹⁴.

ენციკლოპედიის მიხედვით ცამადი ალაგირის (მდ. ურსდონზე) ერთ-ერთ ძველი სოფელია. მნიშვნელოვანია, რომ გადმოცემით ჯიკავევბმა, კალოვევბმა, ქელესავევბმა და სხვ. ცამადი დატოვეს XV-XVI საუკუნეებში და გადასახლდნენ დიდი ლიახვისა და არდონის ზემო წელში. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სახელწოდებით სოფელი – ცამადი – არსებობს ჩესელთგომში ანუ ქეშელთაში, რაც ასევე გადმოსახლებაზე მიუთითებს. ჯგუფური გადასახლების დროს ხშირად ტოპონიმიც გადაჰქონდათ.

ენციკლოპედია გვაუწყებს, რომ *ჩესელთგომი (ქეშელთა)* – ფაცას ხეობის სათავეა. აქედან *ზიკარის* უღელტეხილით გადასასვლელია ცენტრალურ ოსეთში (თუალგომში/დვალეთში). გადასასვლელის ქართული სახელწოდებაა არა *ზიკარი*, არამედ *ზეკარი* (იქვე მეორე გადასასვლელსაც ქართული სახელწოდება – „კედელა“ ერქვა). ძველქართულში „კარი“ გადასავლელს, შესასვლელს (არა მხოლოდ სახლში შესასვლელს), ნიშნავდა. მთელი რიგი ქართული სოფლის სახელებიც -კარი-ით ბოლოვდება. აღნიშნულია, რომ სწორედ ამ გადმოსასვლელით ხდებოდა დვალეთიდან სხვადასხვა გვარების მიგრაცია სამხრეთით. დასავლეთით ქეშელთას მაშხარას პატრა ხეობა აკრავს. აქაა სოფელი თლი. ქეშელთის მთელი მოსახლეობა ალაგირიდან და დვალეთიდან გამოსული ყოფილა. ათინავის/ათენგენობის დღეობა აქაც იცოდნენ.

ახლა მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევეხები სტატიას ДЗИМЫРГОМ. მკითხველს შევახსენებ, რომ საუბარია ქსნის ხეობის ზემო წელზე – *კამურის* ხეობაზე. აქაც ოსებამდელი მოსახლეობის ნაკვაღევი თურმე არსად არაა: «Судия по памятникам материальной культуры, следов доосетинского населения в Дз. нет. Осетины, пришедшие первым (в основном из Куртатинского ущелья), освоили территорию, разби-

¹⁴Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. Документы и материалы. Материал подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, I, 1980, с. 44-45.

ლი პაშნი и основали села». ლ. ჩიბიროვს არ შეიძლება არ ახსოვდეს ვ. აბაყვის სიტყვები იმის შესახებ, რომ უამურში ოსები სულ ორასი წლის მისული არიანო. ოსებამდელი მოსახლეობის ნაკვაღევი უამურში ნამდვილად ჩანს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მდინარე ქსნის სათავეებთან, მჟავე წყლების თავზე კლდოვან სერზე „ბერციხის“ ანსამბლი მდებარეობს. ციხეში მეორე სართულის დონეზე დარბაზული ეკლესიაა. უამურშივე სოფელ ჩიგოიანების სიახლოვეს ქვაში გამოკვეთილ ჯვარზე ქართული (მხედრული) წარწერაა¹⁵. აქვე დადასტურებულია არაერთი ზურგიანი კოშკი, რომლებიც, როგორც ცნობილია, შიდა ქართლის მთიანეთისათვის იყო დამახასიათებელი. ანალოგიური ტიპის კოშკები ოსთა განსახლების თავდაპირველ და ძირითად არეალში – ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დადასტურებული არაა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: უამურში ბევრია ნაეკლესიარი. თითქმის ყველგან ადგილობრივ ოსურ მოსახლეობას ნაეკლესიარებზე ოსური წარმართული სალოცავების ნიშები აქვთ აგებული. როგორც თვით ამ ენციკლოპედიაშია მითითებული, განსაკუთრებით ბევრია ასეთი შემთხვევები დვალეთში. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი იმის, რომ ოსებამდე უამურში მოსახლეობა იყო და ეს მოსახლეობა ქართული იყო. მიგრირებულებისათვის ფაქტობრივად ადგილობრივი ქრისტიანული სალოცავები/ეკლესიები უცნობი და მიუღებელი იყო და მათზე თავდაპირველი საცხოვრისიდან მოტანილ ნიშს აღმართავდნენ.

დვალეთის ზახახ ხეობასაც ცალკე სტატია ეთმობა. დასაწყისიდანვე ნათქვამია, რომ ჯინათის, ძომალის, როკის, სბის, ურსთუალთას (მალრან-დვალეთის) და თრუსოს გადასასვლელებით ზახადან შეიძლება მოხვედრა სამხრეთ ოსეთში. ე. ი. ავტორი არ კმაყოფილდება სამხრეთ ოსეთის არსებული ტერიტორიით და თრუსოსაც მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ტერმინი/ტოპონიმი **ზახა** თანახმიერი ყოფილა შუა აზიელი „საკებისა (სკვითებისა)“. ეს „გენია-

¹⁵ შიდა ქართლი. ახალგორის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა. თბ., 2008, გვ. 209, 211-212.

ლური“ აზრი აბაევს ეკუთვნის. თურმე ძვ. წ. VII საუკუნეში სკვითებმა თავიანთი პირველი ლაშქრობა რომ მოაწყვეს წინა აზიაში, გაიარეს მთავარი კავკასიონის ქედის მრავალრიცხოვანი გადასასვლელები. სავარაუდოდ, მათ უნდა ესარგებლად სტირსოხის უღელტეხილით, რომელიც უმოკლესი გზაა ჩრდილოეთ ოსეთიდან სამხრეთ ოსეთში. სკვითების/საკების აქ დამკვიდრების ირიბი დამადასტურებელი ყოფილა ზახადან არც თუ დაშორებული სოფელი თლის არქეოლოგიური განათხარი მასალა. რაზეც ახლავისაუბრეთ მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს დაწვებული აბაევის ეტიმოლოგიური ძიებებით და დამთავრებული თლის არქეოლოგიური მასალით. ზახაში, როგორც აღნიშნულია, ალანების ეპოქის ეკლესია ყოფილა სოფელ კესათიყაუში. გარდა ამ ნაეკლესიარისა (რომლის მხოლოდ ფუნდამენტია შემორჩენილი) ცარციათების ციხესიმაგრეთა და საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებიცაა, და, რაც მთავარია, ტოპონიმიური სახელწოდებები: ბაიკომი, სანატიკომი და სხვ. რაც ითქვა კომენტარის ღირსიც არაა. ესაა თანამედროვე ოსი ეთნოლოგების მეცნიერება. ჩამოთვლილი ორი ოსური ტოპონიმი ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოქმნილიყო. და ისინი სწორედ იმ დროს წარმოიქმნა, როდესაც ზახას ხეობაში და, საერთოდ დედალეთში, ოსები მიგრირდნენ. მათი აქ მიგრაცია კი ზუსტად XVI საუკუნეში განხორციელდა. XVI საუკუნეში რომ განხორციელდა ოსების დედალეთში დასახლება, ამას ვერც სტატიის ავტორი უარყოფს: «По преданию, первые поселенцы появились в З. не ранее XVI в. после последней массовой волны миграции алан-осетины в горы Центрального Кавказа». საინტერესოა, წინა მასობრივი მიგრაციები ალან-ოსებისა დედალეთში როდის იყო? რომელი წყაროები მოგვითხრობენ ამის შესახებ? პირველნი, როგორც აღინიშნა, საკები იყვნენ ქრისტეს შობამდე VII საუკუნეში. მეზღაპრეობას საზღვარი არა აქვს. აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავ – რა ვუყოთ იმ ტოპონიმებს, განსაკუთრებით მიკროტოპონიმებს,

რომლებს ზახას ხეობაში (და, საერთოდ, დვალეთში) დასტურდება და რომლებიც ქართული ენით იხსენება?¹⁶

ზახელი ოსების შესახებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ უნდა ითქვას. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ზახელები ორენოვანი იყვნენ. ისინი თანაბრად ფლობდნენ ოსურ და ქართულ ენებს. ამას ენციკლოპედიის ავტორებიც ვერ მაღავენ. თავის დროზე კალოევი ამ ფაქტს ქართველი მღვდლების მოღვაწეობით ხსნიდა. საენციკლოპედიო სტატიაში კი ეს გარემოება საქართველოსთან ეკონომიკური და ეთნოკულტურული კავშირებითაა ახსნილი. სინამდვილეში ოსთა მიგრაციის შემდეგ, ადგილზე დარჩენილი ქართველი მთიელი დვალეების ნაწილი გაოსდა და ამ ხეობამ ხანგრძლივად შემოინახა ორენოვნება. ამას, ბუნებრივია, ის ეკონომიკური და ეთნოკულტურული ურთიერთობებიც უწყობდა ხელს, რომელიც ზახას ხეობის მოსახლეობას დანარჩენ საქართველოსთან გააჩნდა. ზახას ხეობაში მკვიდრობდნენ გვარები, რომლებსაც არ ჰქონდათ გადმოცემა მოსულობის შესახებ. ასეთთა შორის დასახელებულია *ქესაეების* გვარი, რომლებიც ზახას ადრინდელი ალანური მოსახლეობის შთამომავლებად არიან გამოცხადებული. სინამდვილეში ქესაეები ქართველი მთიელი დვალეების – *ქესაურების* მემკვიდრეები არიან, რომელთა ნაწილი ქსნის ხეობაში იყო გადმოსახლებული და სოფელ ყანჩავეთში მკვიდრობდა. [1921 წელს ასი წლის მოხუცისაგან ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ქესაურები/ქესაეები დვალეთის ზახას ხეობის უძველესი მკვიდრები იყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ეპიდემიას გაუნადგურებია. მხოლოდ ერთი ფეხმძიმე ქალი, რომელიც იმ დროს წისკვილში ყოფილა, გადარჩენილა. ასე გადაურჩნენ ადგილობრივი ქესაურები ეპიდემიას, რომლებმაც შემდეგ ოსი მიგრანტები მიიღეს. მთაში არსებული ტრადიციის თანახმად, სხვადასხვა ხეობიდან მოსული მესისხლე ოსების ნაწილი ადგილობრივთა – ქესაურთა გვარზედაც გადასულა. ქესაურების საფუძველჩამყრელი ვინმე „ქესა“ ყო-

¹⁶ P. Топчишвили. Об этнической принадлежности двалов. – сб.: Осетины в Грузии. Тб, 2015, С. 162-205.

ვილა, რომლის უფროსი ვაჟის – *ხერხასგან* მომდინარეობენ ქართველი თავადი *ხერხეულიძეები*. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: ქესაურებს/ქესაევებს მეორე გვარიც ჰქონდათ – გენცა-ურ-ოვი, რომელთა თავდაპირველი გვარსახელი, რა თქმა უნდა, **გენცაური** იყო. შემთხვევით ატარებდნენ ქართველ მთიელთა გვარებისათვის დამახასიათებელ -ურ სუფიქსიან გვარსახელს? სხვათა შორის, დვალეთის ზახას ხეობაში მოსულ ოსებს თუ ადგილობრივი ქესაურ-გენცაურები დახვდნენ, დვალეთისავე ნარას ხეობაში ყაბარდოდან მიგრირებული ხეთაგ-ურების გვარის საფუძველჩამყრელ ხეთაგს, აქ ხვდებიან ასევე ქართულ სუფიქსიანი გვარის მატარებელი ბიგ-ულ-ები (მდრ.: დასავლეთქართული გვასახელი ბიგ-ვა/ბიგ-ვავა), რომლებიც შემდეგ რუსულის გავლენით ბიგ-ულ-ავე-ად იქცნენ. დვალეები, რომ ქართველები იყვნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ ხეთაგის შთამომავლები ასევე ქართულ-სუფიქსიან გვარს ხეთაგ-ურ-ს იღებენ.

1770 წლის დოკუმენტით, დვალეთი სახასო საკუთრებას წარმოადგენდა. მხოლოდ ზახას ხეობა (თრუსოსთან ერთად) შედიოდა არაგვის საერისთავოში („არს არაგვის ოსი ზახას, თრუსოს...“¹⁷ ზემოთ მოყვანილი მასალა ქესაურების გვარის შესახებ, ყურადღებას იმითაც იმსახურებს, რომ დვალეთის ადგილობრივი ოსებამდელი მოსახლეობის შემცირება, ოსთა თარეშებთან ერთად, ეპიდემიამაც განაპირობა. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, საქართველოს ამ უძველეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან ოსთა მიგრაციას ხელი შეუწყო.

დვალეთის ზახას ხეობის შესახებ ბ. კალოევს მრავალი საყურედღებო ეთნოგრაფიული მასალა აქვს დაფიქსირებული, მათ შორის, ასეთიც, რომელიც სამწუხაროდ, ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში არ აისახა: ზახელებს ტრადიცია ჰქონდათ საქართველოს ბარიდან, საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენებით, ტიკებით ღვინის შეტანისა: «Закки-нцы с давних времен хорошо били знакомы и с виноградным вы-ном, доставляя его сами или покупая у купцов, привозивших его

¹⁷საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტ. II, თბ., 2010, გვ. 201.

в ущелье выюками в бурдюках из предгорных сел Юго-Осетии и Грузии до начала зимы и закрытия перевалов».¹⁸ დავსძენთ, რომ ეს ტრადიცია არა მხოლოდ ზახელების, არამედ დვალეთის ყველა ხეობაში მცხოვრებთათვის იყო დამახასიათებელი. და არა მხოლოდ მათთვის – საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ასეთ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირუბრთობაში იყო საქართველოს ბართან. მთიელები ბარში დადიოდნენ გარე სამუშაოზე, ბარიდან კი საჭირო პროდუქტები მოჰქონდათ, ღვინო კი ძირითადად ქრისტიანული რიტუალების შესასრულებლად ჭირდებოდათ. დასკვნა: დვალეთი მხოლოდ პოლიტიკურად არ იყო საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ის საქართველოს ერთიანი სამეურნეო-ეკონომიკური სისტემაში იყო ჩართული. XVI საუკუნიდან დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მოსახლეობის ეთნიკური ცვლილების მიუხედავად, ისტორიულად ჩამოყალიბებული მთელი რიგი ტრადიციები არ შეწყვეტილა; ახალმა ეთნიკურმა ერთობამ ის მემკვიდრეობით მიიღო.

დვალეთი, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ექვსი ხეობის/საზოგადოების/ტერიტორიული თემის ერთობლიობას წარმოადგენდა. ესენი იყო: **ზახა, კასრის ხევი, ჟღელის ხევი, ზრამავა, ნარა** და **ზროვო**. ენციკლოპედია კი ზრამავას კასრის ხევის/„კასარას“ დასახლებულ პუნქტად მიიჩნევს. განგვიმარტავენ, რომ „კასარა“ ითარგმნება და ნიშნავს „ციხე-სიმაგრე-ხეობას“. რომელ ენაზე ეს მითითებული არაა. კასრი ქართული ტოპონიმია. **სულხან-საბა** კასრის ორ განმარტებას იძლევა: 1. „სახლი მომცრო“, 2. „ჭურჭელი არს ხისა სამწყემსო“. მისივე განმარტებით „ქასრი კი არის „ქვა ცის-ნატყხა“. ასევე ცალკე სტატია ეძღვნება კასრის ხეობას. დვალეთის ამ რეგიონიდან გასასვლელია ალაგირში. კასრის კარით გასვლა მხოლოდ ზაფხულობით, სამიოდე თვის განმავლობაში შეიძლებოდა. ასე რომ, გეოგრაფიული თვალსაზრისითაც დვალეთი დანარჩენ საქართველოსთან იყო დაკავშირებული. სტატიის ავტორი

¹⁸Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды. – М., 1999, с. 276.

ხაზს უსვამს იმას, რომ კასრის კარის ძნელად გასაღე-
 ლობის გამო, „თუალაგომი“ (დვალეთი) 1859 წლამდე თბი-
 ლისისა და ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. დიას, მას
 შემდეგ, რაც რუსეთმა ოსეთის სამხედრო გზა გაიყვანა,
 საქართველოს უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხა-
 რე – დვალეთი თერგის ოლქს გადასცა. დვალეთი საქარ-
 თველოს ჩამოაჭრეს და წაართვეს. 1859 წლამდე დვალე-
 თის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა იმით იყო
 განპირობებული, რომ როგორც ქართული პროვინცია, რუ-
 სეთმა ის ქართლ-კახეთან ერთად შეიერთა. ხაზგასმულია,
 რომ ვახუშტი ზარამაგს თუალაგომის ანუ დვალეთის მო-
 სახლეობის ფორმირების ერთ-ერთ ცენტრად მიიჩნევდა.
 ვახუშტის ასეთი რამ არ უწერია. ვახუშტი ბაგრატიონის
 შემდეგ დამოწმებულია და ასახელებენ „სომხურ გეოგრა-
 ფიას“ და X საუკუნის წყაროებს: «Согласно Армянской гео-
 графии» (VII в.), туалцы входили в сферу влияния Восточно-
 аланского протогосударства. Источники X в. уже говорят о
 «туальцах-асах», т. е. к этому времени туалцы составной частью
 алан.» პირველ შემთხვევაში წყარო მაინცაა დასახელებული,
 მეორე შემთხვევაში – არა. თუმცა ამას მნიშვნელობა არა-
 ცა აქვს, რადგან „სომხურ გეოგრაფიას“ არაფერი უწერია
 იმის შესახებ, რომ დვალეები აღმოსავლურ-აღანური პრო-
 ტოსახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ (საერთოდ
 არცერთ წყაროში არაა საუბარი აღმოსავლურ-ოსური სა-
 ხელმწიფოს შესახებ) და არცერთ წყაროში არაა საუბარი
 დვალეებისა და ასეების იგივეობის შესახებ. და, ბუნებრივია,
 დვალეები აღანების ნაწილსაც არ წარმოადგენდნენ.

როგორც ითქვა, *ზროვო* დვალეთის ერთ-ერთი ხეობა
 იყო. ზროვოს შესახებ სტატიაში პირდაპირ ნათქვამია,
 რომ მისი მკვიდრი ყველა გვარი ალაგირის ხეობიდან იყო
 მოსული. აქედან მოსახლეობის ინტენსიური გადასახლება
 XIX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულია, რის მიზეზიც მი-
 წის უკმარისობა იყო. მაგრამ მიგრაციის მიზეზი ქართველ
 ფეოდალთაგან ჩაგვრა-შევიწროვებაც და ეპიდემიაც ყოფი-
 ლა. საბჭოთა პერიოდში ოს მეცნიერთა ნაშრომებში მოდა-
 ში იყო ქართველ ფეოდალთა ლანძღვა. განსახილველ ენ-
 ციკლოპედიასაც ეს წითელ ზოლად გასდევს. XIX საუკუ-

ნის შუა ხანებიდან ქართველ თავად-აზნაურებს დვალეთში აღარავითარი საკუთრება და უფლებები აღარ გააჩნდათ. ასე თუ ისე, ეს ირიბი აღიარება მაინცაა იმის დასადასტურებლად, რომ დვალეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამასთანავე, იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია სახასო/სახელმწიფო ტერიტორია იყო და შესაბამისად ქართველ ფეოდალებს იქ მამულებისა და ყმა-გლეხების საკუთრება არ გააჩნდათ. პროვინციას მეფის მიერ დანიშნული მოურავი განაგებდა. ზროგო იმითაცაა ცნობილი, რომ აქ შემორჩენილია ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუში – ზროგოს ტაძარი, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის სახელს ატარებდა. როგორც *გ. დოლიძეს* აქვს გარკვეული, ეს ძეგლი ანალოგიურია საქართველოში X-XI საუკუნეებში აგებული ტაძრებისა. თუმცა ლ. ჩიბიროვი აღანური კულტურის ძეგლად აცხადებს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ძეგლი აღანიის მეზობელ საქართველოსთან კულტურული კავშირების დამადასტურებელია. სტატიაში ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მაინცაა დაფიქსირებული, რომ **ტაძარში სალოცავად მოდიოდნენ საქართველოდან**. ასეთი ეთნოგრაფიული მასალა დადასტურებული აქვს ა. ცაგავასაც [«Азилан» - Развалины башни и церкви в окрестностях с. Зарамаг. Местные старожилы утверждают, что в эту церковь приходили молиться грузины»¹⁹]. რა შემთხვევაში მიდიოდნენ ტაძრის მოსალოცად ქართველები? რა საქართველოს ბარში მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიები არ იყო? თანაც ბარიდან მთაში ამ მლოცველს რთული და რამდენიმე დღიანი გზა უნდა გაეველო. **სალოცავად ასეთ შორ მანძილზე ქართველები იმ შემთხვევაში დადიოდნენ, როცა მათი წინაპრები მიგრირებულები იყვნენ. მიგრირებულთა შთამომავლები წინაპართა სალოცავებს არ ივიწყებდნენ**. ეს მასალა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დვალეთი ეთნიკური ქართველების

¹⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, часть II, Орджоникидзе, 1975, С. 278.

განსახლების არეალი იყო, მანამ, სანამ აქ XVI საუკუნეში ალაგირიდან ოსები გადმოსახლდებოდნენ.

დვალეთი რომ ქართველთა განსახლების არეალი იყო, ამას მისი ერთ-ერთი ხეობის – *მამისონის* – შესახებ განთავსებული სტატიაც ადასტურებს. მამისონი ქართული წყაროების *ქდელეს* ხეობაა. ამას ხეობის ერთ-ერთი ცენტრალური სოფლის ოსური სახელწოდება – *Зил*-იც ადასტურებს. „ზგილი“ ქართული ქდელეს ოსური ფონეტიკური ვარიანტია. სტატიაში ხაზგასმულია, რომ მამისონის ათვისება მიმდინარეობდა შიდა მიგრაციული პროცესებს გზით. ეს გადასახლება კი ალაგირის ხეობიდან მიმდინარეობდა. თუმცა მიგრანტთა დვალეთის მამისონის/ქდელეს ხეობაში დასახლებას XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ, ე. ი. ოსთა მიგრაციას აძველებენ. სინამდვილეში დვალეთში ოსების დასახლება XVI საუკუნეში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ოსური ხეობები გადამეტსახლებული იქნა. ენციკლოპედია ჩამოგვითვლის მამისონის/ქდელეს ხეობის გვარებს, რომელთა შორის ძნელი არაა წარმომავლობით ქართული გვარები გამოვიცნოთ: *თუავეი (თვაური-თავაური), ბაგავეი (ბაგაური), მოურაგოვი...* ქდელეს ხეობიდან დიგორში გადასახლებულ გვარებს შორის *გამახაროვები* ყოფილან.

დვალეების შესახებ სტატიაში (ТУАЛ, ДВАЛ) პირდაპირ ნათქვამია, რომ «По своему происхождению принадлежат к числу древнейших ветвей осетинского этноса. Согласно *Б. Вахушти*, территория Центрального Кавказа к востоку от верховьев Терека была названа Двалетией легендарным патроном осетин Урбаносом (Уособ Леонтия Мровели) на своем, т.е. осетинском, языке. Это сообщение свидетельствует о том, что средневековая грузинская историография уже знала об этническое основе данного термира.» მთელი სერიოზულობით ვაცხადებთ, რომ საქმე გვაქვს წყაროების შეგნებულ გაყალბებასთან, მემბტინეებისათვის ისეთი რამის მიწერასთან, რაც მათ არ დაუწერიათ. **კავკასიის მთიანეთი, ვახუშტის მიხედვით, მხოლოდ ლეკანისა და კავკასოსის შთამომავლებით იყო დასახლებული. ხოლო ოსთა წინაპარის – ურბანოსის სამკვიდრებელი არ ყოფილა. ურბანოსი ხაზართა მეფის ძე**

იყო, რომელმაც „მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თვისსა ურბანოს და ტყვენი ქართლ-სომხეთისანი. ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი და დაეშენა აქა თვისითა და ტყვიითა მით, და უწოდა ოვსეთი“²⁰. ეს არის და ეს. ვახუშტის ურბანოსი სხვა, ოსი ავტორებისათვის სასურველ კონექტში არა ყავს მოხსენიებული. **ვახუშტი სწორედ იმაზე საუბრობს, რომ ურბანოსი ველების მკვიდრი იყო, რომელმაც ადგილობრივი კავკასიელები გაწყვიტა და ისე დამკვიდრდა „თვისითა“.** ასე რომ, ცენტრალური კავკასიონის ერთი ნაწილისათვის სახელწოდება – დვალეთი – ურბანოსს (ოსთა ლეგენდარულ პატრონს) არ უწოდებია ოსურ ენაზე. ლოგიკურად აბსურდია იმის მტკიცებაც, რომ შუა საუკუნეების ქართულმა ისტორიოგრაფიამ იცოდა ტერმინ „დვალეთის“ ოსური ეთნიკური საფუძვლის შესახებ. იქვე კიდევ ერთი დიდი ტყუილი, რომლის ავტორი ლ. ჩიბიროვი ასეთ ფალსიფიკაციაში ყველაზე დიდადაა დახელოვნებული. თურმე *ლეონტი მროველი* დვალების შესახებ საუბრობს ოსებისადმი მიძღვნილ სპეციალურ მონაკვეთში. ლეონტი არც დვალების შესახებ საუბრობს და არც ოსებისადმი მიუძღვნია სპეციალური მონაკვეთი. მემატიანე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ოსები საქართველოში დვალეთის გზით გადმოდიოდნენ. „ქართლის ცხოვრების“ ავტორების მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი ცენტრალური გადასასვლელი „გზა დვალეთისა“ იყო. ავტორი იქვე კიდევ ერთ ტყუილს გვთავაზობს: «Двалы-осетины (туал-ос) известны ранним аравским авторам». რეალობა ასეთია: ა. *ალემანმა* ყველა არაბულ წყაროს მოუყარა თავი, თარგმნა (სხვა წყაროებთან ერთად) და კომენტარებით გამოსცა. განაცხადი იმის შესახებ, რომ ადრეული არაბი ავტორებისათვის *დვალი-ოსები (თუალ-ოსები)* ცნობილი არიან, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. მხოლოდ ერთი არაბი ავტორი – *იბნ-რუსტა* (დაწერილია 903-913 წლებში) მოიხსენიებს „ტულას“, რასაც ა. ალემანი აღადგენს „Tu-

²⁰ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 107.

wal-As“-ად. მეცნიერი ინტერპრეტაციას იძლევა და ვარაუდობს, რომ „Tuwal-As – должно быть, Twalta или южные осетины, возможно еще одно из аланских племен»²¹. ვარაუდებს აქსიომად და ჭეშმარიტებად არ აცხადებენ. ასე რომ, არაბ ავტორებს არსად თუალ-ოსები (დვალი-ოსები) მოხსენიებული არა ჰყავთ. ამავე სტატიაში აღნიშნულია, რომ დვალეთს სამხრეთიდან ესაზღვრება „ურსთუალთა“ (თეთრი დვალეთი). ესაა ქართული წყაროების მაღრან-დვალეთი, რომელიც მხოლოდ დიდი ღიახვის უკიდურეს სათავეს მოიცავდა და ცხრა მთური სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. ავტორი კი ურსთუალთის შემადგენელ ნაწილებად ქეშელთისა (ჩესელთისა) და კუდაროს ხეობებსაც აცხადებს. დვალეთთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ვთქვა კიდევ ერთი გარემოების შესახებ, თუმცა ქვემოთ თქმული ენციკლოპედიას არ ეხება. ისტორიკოსს ზ. ვანევეს არ შეეძლო რა დაედასტურებინა დვალეების ოსური წარმომავლობა, ის წერდა, რომ „დვალეები“ გეოგრაფიული ცნებაა და სრულადაც არაა დაკავშირებული რაიმე კულტურულ მიკუთვნებულობასთან.

საქართველოში ოსები საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთის გარეთაც ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი ისტორიული თორის გუჯარეთის ხეობა იყო (ბორჯომის რაიონი). ენციკლოპედიაში „გუჯარეთის ოსებს“ ცალკე სტატია აქვს დათმობილი. სტატიის თანახმად, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (აქ. ბუნებრივია, „სამხრეთ ოსეთი“ არ იგულისხმება), ისე გუჯარეთში ოსების მიგრაცია XVIII საუკუნის ბოლოს დაწყებულია სამხრეთ ოსეთიდან. XVIII საუკუნის ბოლოს ოსებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაც კი არ ჰქონდათ ათვისებული. ოსების დვალეთიდან და შიდა ქართლის მთიანეთიდან მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ძირითადად XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ამავე დროს დასახლდნენ ისინი ისტორიული *თორის*

²¹Аугуст Алеман. Аланы в древних и средневековых письменных источниках. – М.: 2003, С. 344.

ტერიტორიაზეც. იოანე ბაგრატიონის აღწერილობით გუჯარეთის ხეობა XIX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ნასოფლარებით იყო მოფენილი. აქ ის 18 სოფელს ჩამოთვლის და არცერთ მათგანს „მოსახლენი“ არა აქვს მიწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთ მათგანში მოსახლეობა არ ცხოვრობდა. ანალოგიური ვითარება იყო მთელ ბორჯომის რაიონში. ისტორიული თორის დასახლება დასაველეთ საქართველოს მოსახლეობამ XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო და პროცესი იმავე საუკუნის 80-ან წლებში დასრულდა. ამ რეგიონში მიგრაციული პროცესების შესახებ საკმარისი საარქივო მასალა არსებობს. ასე რომ, ფაქტობრივად, გუჯარეთში ოსების მიგრაცია ენციკლოპედიაში 80 წლითაა დაძველებული.

დვალეთის ჟღელეს/მამისონის ხეობის ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო თებე (ოსურად – ТИБ). აქაა შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი – თავდაცვითი, საკულტო, სამეურნეო ნაგებობები. თებე რამდენიმე უბნისაგან შედგება. ერთ-ერთი მათგანი – ტიმწინა – ქართული ტოპონიმია. ის ორი კომპონენტისაგან შედგება: „ტიმ“ („ტიბ“)+„წინა“. ის აღნიშნავს წინა ტიბს, ტიბის წინა უბანს. თავდაპირველი ქართული ფორმა კი იყო თებწინა²². ხაზი აქვს გასმული, რომ, «Вначале XVIII в. царевич Вахушти справедливо писал о Тибе как о «селе большом, башенном». ანალოგიური რამ ვახუშტის თებეს შესახებ არა აქვს ნათქვამი. ის საერთოდ არც ახსენებს ამ სოფელს.

თრუსოს ხეობის (ТЫРСЫГОМ) შესახებ შენიშნულია, რომ ის ახლა საქართველოს შემადგენლობაში შედის. ჩვენის მხრივ კი შევნიშნავთ, რომ თრუსო (თერგის ხეობის სათავე) არც არასოდეს ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. გვიან შუა საუკუნეებში ის არაგვის ერისთავების საგამგეოში შედიოდა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, იოანე ბაგრატიონის მონაცემებით, თრუსოში რვა ოსური სოფელი იყო. ენციკლოპედიის ავტორი

²²რ. თოფჩიშვილი. ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ. – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 2011, გვ. 67-68.

ცამეტ სოფელს უთითებს. ეს რვა სოფელი ცამეტ სოფლად XIX საუკუნეში იქცა. ბუნებრივია, როგორც სხვაგან აქაც ოსები, ალანების სახით, ხეობის უძველეს მკვიდრებად არიან გამოცხადებული, რასაც, თურმე ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლები, მიტოვებული დასახლებები და ეპიგრაფიკულ ძეგლები ადასტურებენ. თუმცა იმას ვერ უარყოფენ, რომ თანამედროვე მოსახლეობა XVI-XVIII საუკუნეებში გადმოსახლებულების შთამომავლები არიან. რა წყაროს ეყრდნობიან, როდესაც 1770-იან წლებში თრუსოში 400 კომლის მკვიდრობაზე საუბრობენ, გაუგებარია. რეალურად 1776 წელს თრუსოში 71 კომლი ოსი ცხოვრობდა, 1780 წელს – 73 კომლი. 1886 წლისთვის აქ ოსების რაოდენობამ 240 კომლს მიაღწია.

ენციკლოპედიაში არის სტატია საფლავის ქვების შესახებ. პირველივე წინადადებით ხაზი აქვს გასმული, რომ საფლავის ძეგლები შორეული წარსულიდან მომდინარეობს და როგორც ყველა სხვა ტრადიცია ისიც სკვითებთანაა დაკავშირებული და რომ ცნობილია სკვითური ქვის ქანდაკებები, ყორღანული დაკრძალვა. რა კავშირშია სკვითური ქვის ქანდაკებები საფლავის ქვებთან/ძეგლებთან? ცნობილია, რომ ოსები კავკასიის მთებში შემოსვლის შემდეგ მიწისზედა და ნახევრად მიწისზედა, მოგვიანებით კი მიწისქვეშა აკლდამებში იკრძალებოდნენ. აკლდამები ადგილობრივ კავკასიელთა კუთვნილებას წარმოადგენდა. როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში ოსების მიერ კავკასიური კულტურის გათავისებაზე საუბრობენ, მასში აკლდამებიც იგულისხმება. ის ადგილობრივთა კულტურა იყო, იმიტომ რომ ავტოქტონ მთიელ კავკასიელს დაკრძალვის ასეთ წესს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლაღშაფტი, მიწის სიმცირე კარნახობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში დადასტურებული საფლავის ქვები გვიანდელია, მას შემდეგ, რაც ოსებმა XIX საუკუნის დასაწყისიდან აკლდამებში დაკრძალვის ტრადიცია გაწყვიტეს. ჩვენი ყურადღება აღნიშნულმა სტატიამ იმით მიიქცია, რომ იქვე დაბეჭდილია ილუსტრაცია თრუსოში ნაპოვნი საფლავის ქვისა, რომელიც XIV საუკუნითაა „დათარიღებული“. ეს ძეგლი დიდი ხნის წინ დაბეჭდა თავის წიგნში *ბ. კალოევა* და ის ალანური კულტურის ძეგ-

ლად მონათლა. ინტერნეტსაიტიდან ირკვევა, რომ თურმე წარწერა ოსურ ენაზეა შესრულებული სირიულ-ნესტორიანული დამწერლობით. ილუსტრაცია, მართალია, მცირე მასშტაბისაა, მაგრამ მასზე აშკარად ჩანს ქართული მხედრული დამწერლობა უფრო კარგად შეიმჩნევა ბ. კალოევის წიგნის («Осетины», 1971) 59-ე გვერდზე განთავსებულ ილუსტრაციაზე. მას საერთო არაფერი აქვს სირიულ-ნესტორიანულ დამწერლობასთან. ამ საფლავის ქვის შესახებ არავითარი გამოკვლევა არ არსებობს და, როგორც ირკვევა, ახლა მისი „განსასვენებელი“ ადგილია ვლადიკავკაზი. ის საბჭოთა პერიოდშია გატანილი საქართველოდან. სხვათა შორის, საიტზე დადებულ ფოტოზე საერთოდ არავითარი წარწერა არ ჩანს, ენციკლოპედიაში და სხვა გამოცემაში ფოტო მცირე მასშტაბისაა. ამ შემთხვევაშიც აშკარა ქურდობასთან გვაქვს საქმე. კალოევის მითითებით ის თრუსოს სოფელ *შუატისიდანაა* წაღებული. მისი დათარიღება 1326 წლით საეჭვოა. კიდევ ერი გარემოების შესახებ. სტატიაში ვკითხულობთ, რომ თრუსოს ხეობის საფლავის ქვების შთამომავლობითი ოსტატები/ხელოსნები სოფელ *ოქროყანაში* მცხოვრები *გუდიევები* იყვნენ. გუდიევები წარმომავლობით ოსები ნამდვილად არ ყოფილან. ისინი ადგილობრივი ქართველი *გუდია-ურები* იყვნენ, რომელთა ნაწილი საკმაოდ გვიან ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსდა. გაგვაჩნია 1774 წლის თრუსოს სოფელ *მნის* აღწერა (ოქროყანის მახლობლად მდებარეობდა). ამ აღწერაში სხვა ქართულ გვარებთან ერთად (*ბაბეური*²³, *არჯინაური*, *ბადაძე*, *ნოქარაული*, *შუშლიაური*, *აღსუაძე*, *ნასყიდაური*, *ბადილაური*, *ვარზოური*, *თადიაური*) გუდიაურების გვარიცაა შეტანილი. დიას, ხევ-თრუსოში საფლავის ქვების კეთების ტარდიცია, რომელ გვარსაც კჰონდა, ის ეთნიკურად ქართველი იყო.

ოსმა მეცნიერებმა მთელ რიგ ქართულ ტოპონიმებს, აგრეთვე რეგიონებს სახელები რომ შეუცვალეს საყოველთაოდ ცნობილია, განსაკუთრებით გასაკვირია, რომ ასე უდიერად წერილობით ძეგლებში დადასტურებულ ტოპონი-

²³ ბაბეურები დვალეთიდან, სოფელ ნარადან წარმომავლობდნენ.

მებს ექცევიან, იმ ტოპონიმებს, რომელთა დაწერილობა რუსებმა XIX საუკუნის დასაწყისიდან ოფიციალურად დაადასტურეს. თეთრი არაგვის ხეობის სათავეს – *ღუდას*, რომელიც მთიულეთის შემადგენელი ნაწილი იყო და სადაც მათ მოსვლამდე მთიული *ბუთხუზები* მკვიდრობდნენ და სადაც აქედან მღვთაში გასახლებულმა ამ გვარის წარმომადგენელმა *ჯაბან ბუთხუზმა* მისცა მალრან-დვალეთიდან გადმოსულ ოს *რუბაევს* დასახლების უფლება, სახელი შეუცვალეს და *„კუდი კომ“* დაარქვეს. ღუდას დვალეთთან (თუალაგომ) და თრუსოსთან (თირსიგომ) ერთად ენციკლოპედიაში ცენტრალურ ოსეთად მოიხსენიებენ. ამ „ცენტრალური ოსეთის“ ცნება კი საბჭოთა პერიოდში ბ. კალოევმა დააკანონა. ასეთი სახელწოდება დასახლებული გეოგრაფიული ერთეულებისა არც სადმე დოკუმენტშია დასახელებული და არც ხალხის მეტყველებაში არსებობდა. ამის შესახებ რუსი მკვლევარი ვ. ა. კუზნეცოვიც შენიშნავს: «Историко-географическое районирование Северной Осетии, к сожалению, детально не разработано, но вряд ли есть смысл заменять исторически сложившиеся названия на современно-искусственные типа «Центральная Осетия»²⁴. ღუდის შესახებ ენციკლოპედია გვამცნობს, რომ **«Издrevле в 11 селениях ущелья проживали осетины, находившиеся под гнетом Арагвских эриставов.»** ღუდის ეს 11 სოფელი საიდან მოიტანეს, ვერაფერს ვიტყვი. რეალურად აქ მხოლოდ ხუთი პატარა/მთური სოფელი არსებობდა. ესენი იყო *განისი*, *მიქეთი*, *ურმის სოფელი* (*გამოდლა სოფელი*), *ხატის სოფელი* და *ერეთო*. იქნებ XIX საუკუნის სტატისტიკურ მონაცემებში ჩაეხედათ სტატიის ავტორებს. დავსძენთ, რომ ამ ხუთ სოფელში 1873 წელს 49 კომლი ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1886 წლის საოჯახო სიებით – 65 ოსური კომლი. ვახუშტი ბაგრატიონის დროს ღუდაში ოსები ცხოვრობდნენ. აქ ისინი XVIII საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ, და არა უძველესი დროიდან. *მიხეილ კედელაძის* ეთნოგრაფიული მასალით, პირველი ოსი მიგრანტი ღუდაში დაუკითხავად დასახლებულა. ის ოსი

²⁴В. А. Кузнецов. Христианство на Северном Кавказе. <http://www.-kmvline.ru/lib/xrist/index.php>.

მიგრანტი მადრან-დვალეთიდან მესისხლეობის გამო გამოქცეულა. როდესაც *მღეთელებმა* და *გაგასძენის* მკვიდრებმა ღუდაში ფიხის ქოხიდან ამომავალი კვამლი შეამჩნიეს, მის გასასახლებლად მივიდნენ. ოსს ამანათად მიღება უთხოვია და მთური ტრადიციიდან გამომდინარე, მისთვის უარი ვედარ უთქვამთ. ამავე დროს ოსმა ამანათმა პირობა მისცა, რომ თქვენს საქონელს ოსებს არ მოვაპარინებო. გარკვეული ხნის შემდეგ კი პირველ მიგრანტს ღუდაში *გადიევი*, *ყორაევი* და სხვა გვარის ოსები მოუყვანია. ოსები იმ სათიბ-სადოვარზე დასახლებულან ღუდაში, რომელიც ბუთხუზებს და გაგაძეებს ეკუთვნოდათ. მომძლავრებულმა ოსებმა ბუთხუზებსა და გაგაძეებს უარი უთხრეს დამორჩილებაზე და მათ რომ საშვილიშვილოდ არ დაეკარგათ თავისი მამული, ის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ და ოსებისათვის ამით კულუხი დაუდიათ. ეთნოგრაფიული მასალებით ისიც ირკვევა, რომ ღუდის მკვიდრნი დასახელებულ გვარებთან ერთად, *სისეველაურებიც* ყოფილან, რომლებიც აქედან XVII საუკუნის ბოლოს აყრილან და ჟინვალში გადასახლებულან. ეთნოლოგთათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღუდის ღვთისმშობელი მთელი მთიულეთის საერთო სალოცავი იყო და მას უშვილონი შვილიერებას შესთხოვდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – შიდა ქართლში, სადაც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი შეიქმნა, ქართველთა ცხოვრების დამადასტურებელი არა მხოლოდ წერილობითი წყაროები და დოკუმენტები არსებობს, არამედ კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, რომლებიც ენციკლოპედიაში ოსურ ძეგლებადაა გამოცხადებული, მაგალითად, *წუნარის* (საბჭოთა პერიოდის – *ხეთავუროვოს*) ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი შეიძლება დასახელდეს. ამავე სოფელში ოსთა მიგრაციის ფაქტი ტენდენციურადაა წარმოდგენილი და ტოპონიმი წუნარიც ოსურ ტოპონიმადაა გამოცხადებული. თითქოსდა დვალეთის ნარას ხეობიდან გადმოსახლებულმა ოსებმა XVIII საუკუნის ბოლოს მისცეს მას ეს სახელწოდება. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ეს ქართული სოფელი XVIII საუკუნის დასაწყისში იხსენიება და ის გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია. იგ-

ნორირებულია მეცნიერთა მიერ დვალეთში დადატურებული რამდენიმე ქრისტიანული არქიტექტორული ძეგლის ქართლისა და კახეთის X-XI საუკუნეების ანალოგიურ ძეგლებთან სრული იდენტურობა.

ენციკლოპედიაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი აკლდამებს – მიწისზედა, ნახევრადმიწისზედა და მიწისქვეშა დასაკრძალავ ნაგებობებს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში ოსთა მიგრაციის დროის განსახდურისათვის და, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ის მიგრაციის დაძველების მსურველების, ოსთა ოდითგანვე საქართველოს ტერიტორიაზე გასახლების მტკიცებულების წისკვილზე არ ასხამს წყალს. და, აი, რატომ. ირკვევა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აკლდამები უმნიშვნელო რაოდენობითაა. თავაურის საზოგადოებაში 272 აკლდამაა აღრიცხული, ქურთათის ხეობაში – 116, ალაგირის ხეობაში – 136, დიგორში – 275, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ – 52. კალოევის თანახმად დვალეთსა და თრუსოში, რომელიც 1859 წლამდე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, არცერთი მიწისზედა აკლდამა არაა დადასტურებული. დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მხოლოდ ნახევრადმიწისზედა და მიწისქვეშა აკლდამებია. აქაც მხოლოდ უკიდურესი მთის სოფლებშია დადასტურებული. ამ შემთხვევაში ენციკლოპედიაში პირდაპირ ნათქვამია, რომ აკლდამების მცირე რაოდენობა და მათი იდენტურობა ჩრდილოოსურთან ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი „გადმოტანილია ჩრდილოეთიდან სამხრეთში [Малое количество 3. и их идентичность с североосетинскими свидетельствами об их «перенесении» с Севера на Юг.]”. მოყვანილი ფაქტები პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსური ეთნოსის წარმომადგენლები გვიან არიან გადმოსახლებული და მიგრაციის შედეგად აკლდამებში დაკრძალვა მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე ნაწილობრივ შეინარჩუნეს. ქრისტიანული გარემო მათ ამისაკენ უბიძგებდა – ადამიანი მიწაში უნდა დაკრძალულიყო. თუ კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში ოსური ეთნოსის წარმომადგენლები ერთდროულად დასახლდნენ, მაშინ საუკუ-

ნების განმავლობაში რატომ ჰქონდათ განსხვავებული დაკრძალვის წესი? ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ XVI-XVII საუკუნეებში დვალეთსა და შიდა ქართლის მთაში მოსულმა ოსებმა თავდაპირველად მოიტანეს დაკრძალვის წესი და ამიტომაც დაიწვეს შედარებით ადვილად ასაგები მიწისქვეშა და ნახევრადმიწისზედა ძეგლების აგება, რომელთა აგებასაც იმდენი რესურსი არ ჭირდებოდა, როგორც მიწისზედა აკლდამას. ამრიგად, სამხრეთ კავკასია ოსთა განსახლების არეალი ოდიდგანვე არ ყოფილა. ენციკლოპედიაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ თურმე მიწისქვეშა აკლდამები აკლდამური ნაგებობების საწყისი სტადია იყო, რასაც ძნელია დაეთანხმო. პირიქით, ის არის გვიანდელი სტადია. მიგრირებული, რომელსაც ეკონომიკრი შესაძლებლობა არა აქვს და ახალი დასახლებულია, უფრო შედარებით ადვილად ასაგებ ნაგებობას აშენებს. ისე როგორც ოსების სხვა ყველა კულტურული ელემენტი, აკლდამებიც და მისი აღმნიშვნელი ოსური სიტყვა („ზაპაზდ“) ირანულ სამყაროსთან არის დაკავშირებული. თურმე აკლდამების პირველი განხეა ცენტრალურ კავკასიაში სკვითურ დროს უკავშირდება და მისი ირანულ კულტურულ სამყაროსთან კავშირი აშკარაა. კი მაგრამ, აკლდამაში დაკრძალვის ტრადიცია უფრო მეტად დამახასიათებელი იყო ინგუშებისათვის, ჩანებისათვის, ბალყარელებისა და ყარაჩაელებისათვის. კითხვა ისმის ადგილობრივი კავკასიური და თურქული მოდგმის ეთნოსებიც ირანულ სამყაროსთან, სკვითებთან იყვნენ დაკავშირებული? ჭეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში აკლდამა სრულიად კავკასიის მთისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რასაც ლანდშაფტური ფაქტორები განაპირობებდა – ვარგისი მიწის სიმცირე აქ მაცხოვრებლებს აიძულებდა, რაც შეიძლება ეკონომიკურად გამოეყენებინათ მიცვალებულთათვის მიწა. მცირემიწიანობის შედეგად ხდებოდა მიცვალებულთა მღვიმეებშიც დაკრძალვა: «...крайнее малоземелье в горах Осетии вынуждало жителей в ряде мест использовать и естественные пещеры для захоронения

своих покойников. Такие погребальные пещеры обычно располагались высоко в горах вдали от населенных пунктов»²⁵. დიას, ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების, მათ შორის, ეთნოსების ქმედებებს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი განაპირობებდა. ბუნებასთან ჰარმონიული თანაარსებობით ყალიბდებოდა სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. ასე გაითავისეს ოსებმა ბარიდან მთაში შესახლების შემდეგ ძველი მკვიდრების – ადგილობრივი კავკასიელების კომპური კულტურაც. ამის დამადასტურებელ ეთნოგრაფიული მასალის დამალვას ხშირად კი ვერ ახერხებენ: «Такие башни, разбросанные по всей нагорной Осетии, местные жители считают принадлежностью прежнего населения, т. е. алан»²⁶. ბოლო სიტყვა (т. е. алан) მოყვანილი ეთნოგრაფიულ ფაქტს არ ეკუთვნის – ის ავტორის ბ. კალოევის დანამატია. ეთნიკურ ოსებს ეთნონიმის „ალანის“ არსებობის შესახებ საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდათ. ასეთი ყალბი ინტერპრეტაციებით მკითხველს არწმუნებენ, რომ მთების ადრინდელი/უწინდელი მოსახლეობაც ოსები/ალანები იყვნენ. რადგან კომპებზე ჩამოვარდა საუბარი, ენციკლოპედიის კიდევ ერთი სიყალბის შესახებაც უნდა აღინიშნოს: იქვე (გვ. 355) გვაუწყებენ, რომ კომპური ნაგებობანი ცნობილი იყო ალანებისათვის და ამ ნაგებობებს ისინი მონღოლებთან ბრძოლაში იყენებდნენ [«Башенные сооружения были известны аланам; их использовали в борьбе против монголо-татар»]. ოსთა წინაპარი ალანები კავკასიის სტეპებში ცხოვრების დროსაც მტრებთან ბრძოლაში კომპებს იყენებდნენ? ისინი ხომ თათარ-მონღოლებისაგან თავს სტეპებში იცავდნენ. კომპები კი კავკასიის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ტიპური თავდასაცავი ნაგებობებია. უფრო მეტი: სამხრეთში მცხოვრებ ოსებს უფრო ადრე (XIV-XVI საუკუნეები) დაუწყიათ კომპების მშენებლობა, ვიდრე ჩრდილოეთში მცხოვრებთ (XVI-XVIII საუკუნეები).

²⁵ Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды. – М., 1999, с. 209.

²⁶ Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды. – М., 1999, с. 21.

სამხრეთში კოშკების მშენებლობა თურმე ოსების ჩრდილოეთიდან სამხრეთით ახალ მასობრივ კომპაქტურ ჩამოსახლებასთან იყო დაკავშირებული [«Однако сохранившиеся в горах Осетии М. (масыг) были построены в самые мрачные и тревожные для осетин времена – борьбы против набегов кабардинцев и леков (дагестанцев) на Осетию в XVI-XVIII вв. Об этом свидетельствуют сохранившиеся на М. (масыг) следы использования огнестрельного оружия. У южных осетин интенсивное строительство М. (масыг) происходило в XIV-XVI вв., в период нового массового перехода алан-осетин с севера на юг и оседания компактными массами в верховьях р. Б. и М. Лиавхи, Ксани, Джеджора»]. კი, მაგრამ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნისა და ჯეჯორას ხეობების ზემო წელში მცხოვრებ უწინდელ ოსებს არ ჭირდებოდათ კოშკები? ენციკლოპედიის შემქმნელის ლოგიკა პრიმიტიულია: ალან-ოსები ყველანაირი კულტურის მატარებელი იყვნენ, მათ შორის, კოშკური კულტურისაც. კი მაგრამ, ოსებს კავკასიაში ადგილობრივი კულტურის არცერთი ელემენტი არ მიუღიათ ადგილობრივთაგან? არა, კავკასიის მთისათვის დამახასიათებელ კოშკურ კულტურას მათი წინაპრები სტებებშიც ფლობდნენ. მეცნიერებაში ესეც სიცრუის, საკუთარი ყალბი ეთნიკური კულტურისა და განდიდების ტიპური მაგალითია. ერთი ხალხი რატომ ქმნიდა განსხვავებული ტიპის კოშკებს ჩრდილოეთსა და სამხრეთში? შიდა ქართლის მთის ზურგიანი კოშკები ოსების აშენებულია, მათ შორის იქაც, სადაც ოსური ეთნოსისანი არ ცხოვრობდნენ?

ენციკლოპედიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წმიდა მთას „ბურსამძელს“, რომელიც შიდა ქართლსა და დვალეთს შორის აღმართული მთის – **ბრუტსაბძელის** – ოსური ფონეტიკური ვარიანტია. როგორც აღნიშნავენ ის მფარველი ყოფილა ქემელთის (ოსურად – ჩესელთის) და ძომადის ხეობების ოსური მოსახლეობისა. ეს ფაქტი შეიძლება ყურადღების ღირსი არც გამხდარიყო, რომ არა ერთი გარემოება: ერთხელ *ბურსამძელი* იმერეთში გამგზავრებულა, სადაც მის ცხენებს აძოვებდნენ. **სტატიის ავტორი შ. ჯიკავეი კი იმერეთს საქართველოს მეზობელ რაიონად აცხადებს.** რა უნდა დაერქვას ავტორისა და ენციკ-

ლოპედის მთავარი რედაქტორის ლ. ჩიბიროვის ქმედებას? დღეს ისინი ძველი რუსული იმპერიული პოლიტიკის გამტარებლები არიან, რომელიც მიზნად საქრთველოს დაშლასა და ერთიანი ქართული ეთნოსის დანაწევრებას ითვალისწინებდა. ისევ ბრუტსაბჰელის შესახებ თქმულებას თუ დავუბრუნდებით, აშკარაა, რომ შიდა ქართლის მთაში მიგრირებულმა ოსებმა ის ქრთველებისაგან შეითვისეს, რასაც თქმულებაში თამარ მეფის ხშირი ხსენებაც ადასტურებს და ვერც ავტორი უარყოფს იმას, რომ მისი ქართული გადმოცემაც ყოფილა.

ენციკლოპედიაში მოხვდა «ГОМАРТЫ ДЗУАР, ГОМАР-ТОБА». დიახ, გომართის ჯვარი, სადაც გომართობა აღინიშნება, ოსური სალოცავი ყოფილა. ეს ის გომარეთია, სადაც XVIII საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ ოსები არ იყვნენ მიგრირებულნი და საიდანაც 1794 წლისათვის ქრთველები ავი მიზეზის გამო აყრილები იყვნენ და რომელიც აზნაურ ხმალაძეების საკუთრებას შეადგენდა. გომარეთის ეკლესია და მისი დეტალების (ვერძის გამოსახულება, მინიატურული გუმბათოვანი ეკლესია) ილუსტრაციები კი ოსური კულტურის საკუთრებადაა გამოცხადებული.

საერთო ოსურ-ქართულ სალოცავადაა გამოცხადებული მთიულეთისა და ქსნისხეველთა ერთობლივი სალოცავი **ლომისა** (ЛОМИСЫ ДЗУАР, ЛОМИСОБА). ქსნის ხეობაში დასახლების შემდეგ, ბუნებრივია, ლომისას ლოცვა ოსებმაც დაიწყეს. თურმე გადმოცემის თანახმად, ტაძრის მშენებლობისას ადგილობრივ მაცხოვრებლებს – ოსებსა და ქრთველებს – ერთმანეთში კამათი მოსვლიათ, ვის უნდა ჰკუთვნებოდა ლომისას ჯვარი. წარმოქმნილი დავის მშვიდობიანად დარეგულირების მიზნით, ტაძრის მშენებლებმა ფასადის კედელი მიმართეს სამხრეთისაკენ (საქართველოსკენ), ხოლო საპარადო კარი ჩრდილოეთის კედელში (ოსეთისაკენ) გაჭრეს. ეს გადასხვაფერებული, ოსურ ყაიდაზე გარდაქმნილი „გადმოცემა“ ოსი მეცნიერების, კერძოდ, ლ. ჩიბიროვის შექმნილია, რათა საზოგადოება დააჯეროს იმაში, რომ ლომისას სალოცავის/ეკლესიის აღმართვისას ქსნის ხეობაში ოსები მკვიდრობდნენ და რომ, თურმე, ქსნის ხეობა ოსეთია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთიულთა მხრივ

„ლომისის“ დეკანოზები *ბურღულთა გვარიდან* იყვნენ, ხოლო ქსნისხეობელთაგან დეკანოზი აუცილებლად *პავლიაშვილების გვარიდან* უნდა ყოფილიყო. თუ ლომისა ქსნის ხეობაში ოსების სალოცავი იყო, რატომ არ ჰყავდათ ამ ეთნოსის წარმომადგენლებს თავიანთი დეკანოზი?

მცირე ინფორმაციის შემცველია სტატია КАЛАЧЫ ДЗУАР, რაც *ქალაქის/ქალაქს ჯვარს* ნიშნავს. ეს სალოცავი დიდი ღიახევის ხეობის სათავეში – მადრან-დვალეთის სოფელ ედისშია დადასტურებული ეკლესიის მახლობლად. ავტორის მტკიცებით, ამ სალოცავს ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია, რომ მახლობლად ცარციატების ქალაქი იყო. არაა ეს ასე. *ქალაქს ჯვარი* იმას ნიშნავს, რომ ის გადმოტანილია დვალეთის სოფელ ქალაქადან მადრან-დვალეთის სოფელ ედისში მოსახლეობის მიგრაციის შემდეგ.

ენციკლოპედიაში შეტანილია ფრონეების ხეობის ქართველთა ერთ-ერთი სალოცავი *„კარასეთის ჯვარი“*, რომელიც სოფელ ყორნისის თავზეა და რელიგიური დღესასწაული *კარასეთობა* (КАРАСЕТЫ ДЗУАР, КАРАСЕТОВА), როგორც ოსთა სალოცავი, რომელსაც, ბუნებრივია, ოსებიც აქ დაპყვიდრების შემდეგ ღოცულობდნენ. ენციკლოპედიაში, როდესაც საუბრობენ ქართულ-ოსურ ეთნოკულტურულ ურთიერთობებზე, სწორედ ასეთი ფაქტები უნდა ყოფილიყო წინ წამოწეული და არა ის, რომ ქართველთა სალოცავი ოსთა სალოცავად გამოეცხადებინათ.

ენციკლოპედიაში არ გამორჩათ *საბა-წმინდის* ეკლესიის შეტანაც, რომლის შესახებაც ასეთი მშრალი განმარტებაა: «САБА-ЦМИНДА – средневековый православный храм в окрестности г. Цхинвала (с. Хейти)». სოფელ ხეითის საბაწმინდის ეკლესია, რომელიც X საუკუნის I ნახევრითაა დათარიღებული, ასე ცხადდება ოსური კულტურის ძეგლად. კითხვა ისმის: წარმოდგენილი ინფორმაციით ოსურ ეთნოგრაფიასთან რა კავშირი აქვს შუა საუკუნეების ქართული სამშენებლო ხელოვნების ნიმუშს?

დვალეთის სოფელებში თლიში, ქალაქსა და ლისრში (ქუდელეს/მამისონის ხეობა) არსებობდა სალოცავი *„სამხითი-სი/სამხითოს ძუარ“*. ეს სალოცავი ოსურ ენციკლოპედიაშიც არის შეტანილი. ნიშანდობლივია, რომ ამ სალო-

ცავთან *ათენგენობას* დღესასწაულობდნენ. სალოცავის სახელწოდება და ათენგენობის დღესასწაული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ის ქართველი მთიელების – დვალეების სალოცავი იყო (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ფშავში სათემო სალოცავებს „სერობა“-ს, „სამღრთობა“-ს და ათანგენობას უწოდებდნენ²⁷). არაქართველები, ბუნებრივია, *სამხთოს/სადეთოს* სახელწოდებით სალოცავს ვერ შექმნიდნენ. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ *სამხთოს* სახელწოდებით ეკლესიები მრავლად იყო ქართლში, მაგალითად, სამხთოს ეკლესია იყო ქსნის ხეობაში, სოფელ ჩიტინში.

დიდი ღიახვის ხეობის სათავეში, სოფელ ქვემო სბაში, მთის თხემზე არის სალოცავი ოქროს ჯვარი (СЫЗГЪАРИН ДЗУАР). «Предание приписывает его основание грузинской царице Тамар.» ეს არის იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ აქ მიგრირებულმა ოსებმა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ადგილობრივი ქართველი მთიელების ჯვარ-ხატი გაითავისეს. ენციკლოპედიის მიხედვით, ТАРАНДЖЕ-ЛЮЗ-ი ოსური მითოლოგიის უძველესი ღვთაება ყოფილა. მისი სალოცავებია მხოლოდ საქართველოში: თსუსოს ხეობაში, დვალეთის მამისონის/ჟღელეს ხეობის სოფლებში თიბში და ღისრში, დიდი ღიახვის სათავეში (სოფლები: ედისი და ერმანი). ერთი სიტყვითაც არაა ნათქვამი, რომ ეს იგივე ქართული მთავარანგელოზია. თრუსოს მთავარანგელოზი, რომელიც სოფელ დისში მდებარეობს, ჩვეულებრივი ქართული ბაზილიკაა, რომლის ფოტოც წიგნში წარმოდგენილია.

ენციკლოპედიის 629-ე გვერდზე მოთავსებულია *წუნარის ღვთისმშობლის ტაძრის* ფოტო. ამ სოფელს ხეთაგუროვო დაარქვეს. წუნარი, თურმე XVIII საუკუნის ბოლოს ყოფილა დაარსებული. პირველი გადმოსახლებულები ყოფილან ნარადან მოსული *ბიჭულოვები, გოციელები, ხასიელები, ხეთაგუროვები, მამიელები*. სახელწოდებაც გადმოსახლებულებს მიუციათ. წუნარი მომდინარეობს თურმე ოსუ-

²⁷ ს. მაკალათია. ფშავი, თბ., 1974, გვ. 202.

რი სიტყვებიდან „ცუს ნარ“ და თურმე პატარა ნარას ნიშნავს. წუნარის შექმნის ისტორია, როგორც შენიშნულია, შესანიშნავი ილუსტრაციაა მიგრაციული პროცესებისა, რომელიც უფრო ინტენსიური გახდა XVIII საუკუნის ბოლოდან XX დაუკუნის 30-იან წლებამდე. დიდი ტყუილია ის, რომ თურმე წუნარში XVIII საუკუნის ბოლოს დასახლდნენ ოსები. ი. ბაგრატიონის თანახმად წუნარში XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ ქართული მოსახლეობა იყო²⁸. არც 1818 წელს ცხოვრობდნენ წუნარში ოსები. წუნარში 1830 წელს 9 კომლი ოსი ცხოვრობდა, რომელთა რაოდენობა 1886 წლისათვის 40-მდე გაიზარდა. საარქივო მონაცემებით აქ დვალეთიდან ოსები 1824-1825 წლებში მიგრირდნენ (8 ოჯახი ნარადან მოსულა, 1 – ზრამაგიდან). ეს საარქივო მასალა არქივშია დაცული²⁹. მეორე ტყუილი ისაა, რომ ოსებს არ უწოდებიან სოფლისათვის სახელი. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ წუნარი მოხსენიებულია 1712 წლის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ის (აგრეთვე: რუსთავი, ყორნისი და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა სოფლები) ოდითგანვე ურბნისის ეკლესიის საკუთრება იყო³⁰ ამასთანავე, წუნარი ქართული ტოპონიმია და არა ოსური. ის გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია და დაწუნებულ ადგილს ნიშნავს. ხალხური გადმოცემით აქ აშენებული ტაძარი თამარ მეფეს დაუწუნებია და ამის გამო დარქმევია სოფელს აღნიშნული სახელწოდება. ოსების მიგრაციამდე **წუნარში ბედელურები, მამისა შეილები, მჭედლიძეები...** ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელი გვარი წუნარიდან ზემო ნიქოზში გადასახლებულა.

«ЧЫРЫСТІЙЫ ЦЪУПІ вершина Христа. ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ ოსები ოდითგანვე ყაზბეგის მთას „სონას“ უწოდებდნენ და მის ძირში მდებარე სოფელს კი – „სონაი

²⁸ ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 42.

²⁹ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 254, ან. I, საქ. №1244, გვ. 203-204

³⁰ საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტომი მეორე, თბ., 2010, გვ. 213-214; ქრონიკები, III, გვ. 44-46.

ყაუს“. ჯერ კიდევ პუშკინის მოგზაურობის დროს საქართველოს სამხედრო გზაზე სოფლების უმეტესობის მკვიდრნი იყვნენ ოსები. სხვა ხალხებიდან ტრასაზე დასახლდნენ ქართველები (ემსახურებოდნენ გზას) და სომეხი ვაჭრები. მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა გადასახვლელს დაარქვეს ჯვრის უღელტეხილი და მოყვანილია მისი ორი ოსური სახელწოდება. აქ დიდი დომხალია. სად მყინვარწვერი და სად ჯვრის გადასახვლელი. ტყუილია, რომ გზაზე სოფლების მკვიდრთა უმეტესობა ოსები იყვნენ. თურმე აქ ქართველები შემდეგ დასახლებულან. გაურკვეველია, რომელ სოფელს უწოდებდნენ ოსები *სონი ყაუს*. მყინვარწვერის ძირში გერგეტია და, როგორც ჩანს, მას მისეადაგებოდა ეს სახელი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ენციკლოპედიის ავტორებს პრეტენზია ხევზეც აქვთ, როგორც ოსთა თავდაპირველი განსახლების ერთ-ერთ არეალზე. ამიტომ წერენ ამდენ ტყუილს.

«В Восточной Алании преобладало грузинские влияние, протирившееся преимущественно на горные ущелья Северной Осетии. Памятники грузинской церковной архитектуры в Северной Осетии – храм *Зруджы зарен Майрам* в Зругском ущелье, XI в.; храм в с. *Тли* Мамисонского ущелья, XI в.; руины храма в с. *Нар*, возможно XI в.; руины в с. *Регух*, XI- XIII вв.» ეს ამონარიდი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ენციკლოპედიაში, როგორც იქნა, აღიარებულია, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში, რომელიც ამჯერად ისტორიული აღმოსავლეთ ალანიის ტერიტორიადაა გამოცხადებული, ქართული საეკლესიო არქიტექტურაა წარმოდგენილი. ამასთანავე, თუ დავაკვირდებით, დვალეთს როცა უნდა ცენტრალურ ოსეთად აცხადებენ და როცა უნდათ – ჩრდილოეთ ოსეთად. ამჯერად დვალეთი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიად აქვთ გამოცხადებული. იმავე სტატიასთან („ქრისტიანობა ალანებთან“) მოთავესებულია მადრან-დვალეთის სოფელ ედისისა და პატარა ლიახვის ხეობის გერის (ჯერის) წმიდა გიორგის ეკლესიები. იქვე აგრეთვე წარმოდგენილია სოფელ დონიფარსის „ქრისტიანული ტაძრის“ ფოტო. აი, ამ ტაძარზე კი არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ქართულ ეკლესიებსა და დონიფარსს შორის როგორც ცა და დედამიწა ისეთი გან-

სხვაგვებაა. 652-ე გვერდზე მოთავსებულია დიდი ღიახვის ხეობის სოფელ კასაგჯინის ეკლესიის ბარელიეფი, რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს: «Следы раннего христианства». სარკმლის თავზე ორი ხარის ფიგურაა გამოსახული. ანალოგიური ფიგურები არაერთი და ორია ქართულ საეკლესიო არქიტექტორულ ძეგლებზე“.

გვ. 653: «Данные топонимики подтверждают участие кавказского компонента в этногенезе осетин. Многие из названий горной Осетии является наследием древнего кавказского субстрата». შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაწილობრივ სინამდვილეს შეესაბამება. ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრია ადგილობრივი კავკასიური ტოპონიმი, განსაკუთრებით ბევრია დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში. მაგრამ რამდენადაა ისინი იმის დამამტკიცებელი, რომ ოსთა ეთნოგენეზში კავკასიურმა ელემენტმა მიიღო მონაწილეობა? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ოსები როგორც ეთნიკური ერთობა კავკასიის მთებში შემოსვლამდე ჩამოყალიბდნენ. ამდენად მათი ეთნოგენეზი სხვაგან, სტეპურ გარემოში მოხდა. კავკასიური სუბსტრატული ტოპონიმები მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მათ მთებში ბინადარი სხვა ეთნოსების განსახლების არეალი დაიკავეს. ასე იყო ეს დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში, სადაც ქართველთა მოსახლეობის დამადასტურებელია არა მხოლოდ ოიკონიმები.

ენციკლოპედიაში რამდენიმე სტატია ოსი და სხვადასხვა კავკასიელი ხალხის ურთიერთობას ეხება. ერთ-ერთი მათგანი ოსურ-ვაინახურ ურთიერთობას ეძღვნება. ჩამოთვლილია საერთო გვარები, რომლებიც ინგუშებსა და ოსებს აქვთ. სტატიის მიხედვით, ჯარიახისა და თერგის ხეობებში ინგუშები მისული არიან, რომლებსაც აქ ოსები დასვედრიან: «С переселением ингушей в Джерахское ущелье и долину р. Терек возник целый ряд смешанных осетино-ингушских сел, развивалась родственные связи двух народов». მთელი სერიოზულობით უნდა ითქვას, რომ ჯარიახისა და თერგის ხეობები ინგუშთა განსახლების არეალი იყო. თვით ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქი – ვლადიკავკაზი – ინგუშური სოფლის – ზაურეგის ადგილასაა გაშენებული.

ცნობილია, რომ თერგის ხეობის მარცხენა მხარეს მდებარე ოსური სოფლის მცხოვრებნი ინგუშებს გადასახადს უხდიდნენ და ის გადასახადი იმაში გადაიხდებოდა, რომ ოსები თავაურის ხეობიდან ინგუშების კუთვნილ ადგილზე იყვნენ გადმოსახლებული.

ცალკე სტატია ეძღვნება ოსურ-რუსულ ურთიერთობებს. აქ მხოლოდ სტატიის პირველივე ციტატას შემოვთავაზებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთ ნონსენსს ლ. ჩიბიროვის გარდა, ალბათ, სხვა ვერაფერს დაწერდა და სერიოზული რუსების გაოცებასაც გამოიწვევს: «осетинско-русские взаимоотношения – восходят к I-тыс. до н. э.»

ოსურ მეცნიერებაში არის ტენდენცია ბოლო პერიოდში მთელი რიგი ქართული გვარების ოსურ გვარებად გამოცხადებისა. ასეთი გვარები ენციკლოპედიაშიც მოხვდა, მაგალითად, ყაზბეგები ეთნიკურ ოსებად არიან გამოცხადებული. იმ დროს, როდესაც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეს ქართული გვარსახელი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა და რომ ის ჩოფიკაშვილების გვარს გამოეყო – ყაზბეგ ჩოფიკაშვილების შთამომავლებმა მამის სახელი გაიგვარეს. ენციკლოპედიაში მოტანილია მხატვარ გ. გაგარინის მიერ შესრულებული მიხეილ ყაზბეგის ნახატი მინაწერთ «Алдар Казбек». „აღლარი“ კი განმარტებულია როგორც სოციალური ტერმინი, რაც აღმოსავლეთ ოსების ფეოდალებს აღნიშნავდა. დასკვნა: ყაზბეგები აღმოსავლეთ ოსეთის ფეოდალები იყვნენ. სად ცხოვრობდნენ ყაზბეგები? – ხევში. კიდევ მეორე დასკვნა – ხევი ოსეთია. აღღარების პრივილეგირებული ფენა კი ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულა ფეოდალურ საქართველოსა და ყაბარდოსთან კონტაქტების შედეგად. კი მაგრამ, ყაბარდო როგორც ტერიტორიული ერთეული ადრე შუა საუკუნეებში რომ არ არსებობდა? ყაბარდოელები ხომ მონღოლთა შემოსევების შემდეგ დასავლეთიდან აღიღველებსაგან დივერგენციის გზით წარმოქმნილი ეთნოსი იყო და მათი ეს გადმოსახლება რომ მონღოლთა ბატონობის შემდეგ განხორციელდა?

ამავე დროს ავტორები იმ ფაქტების იგნორირებასაც მიმართავენ, როდესაც ზოგიერთი ეთნოგრაფიული რეალია

ოსებს აშკარად ქართველთაგან აქვთ შეთვისებული. ტენდენცია ისეთია, რომ საქართველო და ქართველები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყვნენ ნახსენები. მაგალითად, ენციკლოპედიაში წარმოდგენილია სტატია АГЪУЫӀЗ, რომელიც ფოლკლორული გმირი ყოფილა. გადმოცემით ზოგიერთი ოსური გვარი მისი შთამომავალია. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ეს სახელი ალგუზის ფორმით ფიგურირებს იოანე იალღუზიძის პოემაში „ალღუზიანი“, რომელიც დაწერილია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ რომელ ენაზე? ამის შესახებ ენციკლოპედია სდუმს. სდუმს, იმიტომ, რომ აღნიშნული პოემა ქართულ ენაზეა დაწერილი.

ქართველთაგან მატერიალური კულტურის შეთვისების ტიპური ნიმუშია ურემი. ეს ბუნებრივიცაა – შიდა ქართლის დაბლობში ჩამოსახლების შემდეგ ოსებმა ქართული მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ბევრი ელემენტი შეითვისეს. მაგრამ ამის შესახებ ენციკლოპედიაში არაფერია ნათქვამი. იმავე ურემის შესახებ ნათქვამია, რომ, «Пявление У. (уардон) в Южной Осетии зафиксировано не ранее кон. XIX - нач. XXв.» (გვ. 517). იქვე მოთავსებულია ილუსტრაცია, რომელსაც აქვს მინაწერი: „სამხრეთ ოსეთის მთების ურემის ტიპი“. ჯერ ერთი, მთებში ურემს არსად არ გამოიყენებდნენ და მეორე, ესაა საქართველოს გარდამავალი ზოლისათვის (მთისწინეთი) დამახასიათებელი ხალხური სარტანსპორტო საშუალება – „აჩაჩა ურემი“. ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში გადასახლების შემდეგ, ოსთაგან რუსული სარტანსპორტო საშუალებების შეთვისება სირცხვილი არაა, ქართული ურემისა და აჩაჩა ურემის ქართველთაგან შეთვისება კი არაფრით არ უნდა იყოს ცნობილი თანამემამულე ახალგაზრდობისათვის. მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთიღა დაგვიყოფილდებით. სულიერი კულტურის სფეროში ქართველთაგან ჰქონდათ შეთვისებული ჯვარ-ხატებში ხატის მსახურება და ხატის მსახურის აღმნიშვნელი ტერმინი „დეკანოზი“.

ენციკლოპედიაში ისეთი სიტყვა/ტერმინიც მოხვდა, როგორცაა АХАЛ-КАЛІАК, რომლის განმარტებაც ასეთია: «В

Нартовском эпосе название укрепленного города, взятого *Батраძომი*». ენციკლოპედიის შემდგენელმა ლ. ჩიბიროვმა იმდენი ქართული კი იცის გაერკვია, რას ნიშნავს ახალ-ქალაქი და რომელი ენის კუთვნილებაა და საიდან არის ოსურ ენაში შესული. ოსურ ენაში ქართულიდან არაერთი ლექსიკური ერთეული რომაა შესული ამას ტერმინი „ახო“-ც ადასტურებს, რასაც ოსურში იგივე შინაარსი აქვს, რაც ქართულში (საბა: „ახო – საყანური გაკაფული“). ამას მკითხველს შეგნებულად უმაღავენ, რათა ქართული კულტურის ოსურ კულტურაზე გავლენა მიჩქმალონ. ქართულ-ოსური მჭიდრო ეთნოკულტურული ურთიერთობის დამადასტურებელია აგრეთვე ოსებს შორის საახალწლო რიტუალური კვერების გამოცხობა, რასაც „ბასილთას“ უწოდებენ. საქართველოში ხომ „ბასილას“ სახელწოდებით ადამიანის გამოსახულებით კვერს ყველგან აცხობდნენ. მადლობა უფალს, სტატიის ბოლოს ის მაინც აღინიშნა, რომ ანალოგიური სახელით საახალწლო ფიგურები ცნობილია ქართველებისათვისაც.

ოსურ კულტურადაა მიჩნეული ქართული კვებითი კულტურის ისეთი ელემენტი, როგორცაა სულგუნი. ენციკლოპედიაში საერთოდ არ აისახა ქართულ-ოსური კეთილმეზობლური, სამეურნეო, სოციალური და კულტურული ურთიერთობები (შერეული ოჯახები, ნათელმირონობა, სავაჭრო კონტაქტები, ადგილობრივი ქართული სალოცავების გათავისება...). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსეთის ყველა საზოგადოებაში (დიგორში, ქურთაულში, ალაგირში, „მინდვრის ოსეთში“) XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს და რევოლუციის შემდეგაც სახლების მშენებელი კალატოზები და დურგლები რაჭველი ხელოსნები იყვნენ („დღესაც ურუხის ხეობის აულებში თვალში გეცემათ იმერულ თუ რაჭულ სტილზე ნაგები კოაწია ოდასახლები, მოქარგული ფასადებითა და ფიგურირიანი ან, როგორც რაჭველები ამბობენ, რიკულებიანი აივნებით დამშვენებული“³¹). ასეთი ეთნოგრაფიული მასა-

³¹ ს. რეხვიაშვილი. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 66.

ლის მოხმობა კი უდავოდ დაამშვენებდა სტატიას, რომელსაც ქართულ-ოსური ურთიერთობები ჰქვიათ. ამავე სტატიაში აუცილებლად უნდა თქმულიყო, რომ მებოსტნეობა ოსებს შორის საქართველოდან გავრცელებდა³².

ენციკლოპედიის თანახმად არაყი ოსების ნაციონალურ სასმელადაა გამოცხადებული. ამავე დროს გვაუწყებენ, რომ ეს სასმელი ოსებს შორის მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ გაჩნდა. ამას კი, თურმე, მისი არაბულ-თურქული სახელწოდება – „ოფლი“ ადასტურებს. მკითხველს კი უმაღავენ, რომ ანალოგიური სასმელი იმავე სახელწოდებით ქართველებს აქვთ და რომ არაბული სიტყვა *იყი* ანუ არაყი ოსურში ქართულიდან შევიდა და არყის გამოხდაც ქართველთაგან ისწავლეს. არყის გამოსახდელი აპარატიც, რომლის ილუსტრაციაც იქვეა მოთავსებული, იგივე ქართული არყის გამოსახდელი ქვაბია. არაყი ოსების ნაციონალური სასმელი რომ არ იყო, იმავე სტატიიდანაც კარგად ჩანს, როდესაც ვ. პფაფის სიტყვები მოაქვთ, რომელიც წერდა, რომ ოსები არაყს და ლუდს მხოლოდ დღესასწაულების დროს მიირთმევდნენ. ჩვეულებრივ დროს კი მათ მაგარ სასმელებზე მოთხოვნილება არ ჰქონდათ. ნათქვამს მხოლოდ იმ კომენტარს გაუგებებთ, რომ მთის ლანდშაფტი ოსებს უბრალოდ არ აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ ალკოჰოლური სასმელი არასადღესასწაულო დღეებშიც მიეღოთ. უბრალოდ მთური გარემო არყისათვის საჭირო მარცვლეულის საკმარისი რაოდენობით მოყვანის საშუალებას არ აძლევდა.

მცირე მოცულობის არაა სტატია ГУТОН «пflug». ხაზგასმულია, რომ გუთანი მძიმე სახვნელი იარაღია. სად, ე. წ. სამხრეთ ოსეთის რომელ სოფლებში გამოიყენებდნენ „გუთონს“ სტატიაში აღნიშნული არაა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. გუთანი ბარის, დაბლობის სახვნელი იყო. მთაში კი მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციის სახვნელებს გამოიყენებდნენ. ბუნებრივია, გუთანი ბარში ჩამო-

32. В. Миллер. Осетинские этюды, ч. 3, с.14; А. Магомедов. Культура и быт осетинского народа, 1968, с. 100.

სახლებულმა ოსებმა თავისი სახელწოდებით ქართველთაგან შეითვისეს. ავტორი გუთნის წარმოქმნას აღანთა ეპოქით (VIII-IX სს.) ათარიღებს. ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ტერმინებსაც, რომლებიც ოსურში ქართულიდანაა შესული. სამაგალითოდ შეიძლება „დეკანოზი“ მოვიყვანოთ. ენციკლოპედიის მიხედვით ე.წ. სამხრეთ ოსეთში „ძუარის“ მსახურს *დეკანოზი* ერქვა. ამ შემთხვევაში სტატიის ავტორს არაობიექტურობასა და მიკერძოებას ვერ დაეწამებთ – აღნიშნულია, რომ სალოცავის მსახურის აღმნიშვნელი ტერმინი ქართველებისაგანაა ნასესხები. ენციკლოპედიაში შეტანილია ისეთი ტერმინიც როგორცაა *ძრა*. ბუნებრივია, მატყლის დასართველი ეს მოწყობილობაც ოსებს ქართველთაგან ჰქონდათ შეთვისებული. აქ შეუძლებელია არ ავღნიშნოთ, რომ ენციკლოპედიის ავტორები თითქმის არსად არ მიჯნავენ ერთმანეთისაგან საქართველოში მცხოვრებ ოსთა კულტურას ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთაგან. მთელი რიგი კულტურის ელემენტები, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ ოსებს ქართველთაგან ჰქონდათ შეთვისებული საერთო ოსური კულტურის მიღწევადაა გამოცხადებული. რა თქმა უნდა, „ძარა“ გამონაკლისი არაა. ენციკლოპედიაში გვხვდება სტატია „ერდო“. ერდო ცნობილია სახლის ბანში ამავალი ღია ადგილი იყო, საიდანაც შემოდის სინათლე და გადიოდა კვამლი. ერდო თავის ლექსიკონში *ს.-ს. ორბელიანსაც* აქვს შეტანილი. ეს უძველესი ქართული სიტყვაა, რომელიც საქართველოში გადმოსახლებულ ოსებსაც შეუთვისებიათ. მაგრამ სტატიის ავტორი დ. ჩიბიროვი მკითხველს სიტყვის ქართულ წარმომავლობას უმაღლავს. ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში ისეთი ქართული სიტყვებც მოხვდა როგორცაა „*ქამარი*“, „*კაბა*“, „*კალათი*“, „*ქისა*“, „*კოდი*“, „*ლამგანი*“, „*ლაუასი/ლაუაში*“, „*მარხო/მარხუა*“ (*მარხვა*), „*მისხალი*“, „*ჩევერი*“ (*კევერი*), „*ფოცხი*“, „*ბურთი*“ (იხ.: სტატია ПУРТИЙА ХЪАЗТ – ბურთით თამაში), „*საპონ*“, „*სასირ*“ (საცერი), „*ცარდახ*“ (ჩარდახი), „*ცუსა*“ (ჩოსა), „*ცაღდი*“ (წაღდი), „*ცაღი*“ (მჭაღდი), „*ცინდა*“, „*ჩუსტი*“, „*ჩეური*“ (კევერი), „*ჩეცი*“ (კეცი), „*ჩირი/კერე*“ (კევერი), „*ჩირ*“ (კირი)...

იმდენად განვითარებული და პრესტიჟული ყოფილა ოსთა შორის მემინდვრეობა/ხორბლის კულტურა და იმდენად დიდი გავლენა ჰქონიათ ქართველებზე, რომ სიტყვა „ხორბალი“ ქართველებს მათგან უსესხიათ [«Престижность культуры пшеницы у алан-осетин способствовала проникновению в грузинский язык номинации «хорбали/хварбали/хуарбали», в основе которой лежит осетинское хор/хуар – хлеб в зерне». с. 259]. ასეა! თურმე მიწათმოქმედ ხალხს მომთაბარეყოფითაგან შეუთვისებია ტერმინი „ხორბალი“ და ხორბლის მოყვანის კულტურაც.

ოსი ავტორებისათვის სამეცნიერო ფაქტებს რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და რომ მათი ფანტაზიაც უსაზღვროა, ამის შესახებ ერთი ფაქტის გახსენებაც დაგვჭირდება. არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოსკოვში დაისტამბა სქელტანიანი წიგნი ოსების შესახებ, რომელშიც გვაუწყებენ, რომ დასავლეთ ოსეთში (ანუ დიგორელ ოსებში) დიდად განვითარებული იყო მეფუტკრეობა და რომ მათგან მეურნეობის ამ დარგს დასავლეთ საქართველოს მთიელებში – სვანებში შეუღწევია: «Наибольшее развитие пчеловодство получило у западных алан, от них пчеловодство проникло к западно-грузинским племенам – сванам»³³. ასეთი ულოგიკო და დაუსაბუთებელი „მოსაზრებები“ თუ „დასკვნები“ კომენტარის გარეშე უნდა რჩებოდეს, მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ მეფუტკრეობა სვანეთში დიგორის ხეობაში ოსთა დამკვიდრებამდე იყო განვითარებული. ანტიკური ავტორების ცნობების თანახმად, სვანეთში მეფუტკრეობა შინაური მეფუტკრეობის ორგანიზებულ დარგს წარმოადგენდა. სვანებს თავლი და ცვილი გაჰქონდათ არა მარტო საქართველოს ბარში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. უფრო მეტიც: სვანური ფუტკარი გრძელი ხორთუმიტ გამოირჩეოდა³⁴. საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იმდენად იყო მეფუტკრეობა განვითარე-

³³ Осетины. 2012, М., С. 187.

³⁴რ. გუჯჯიანი. მეფუტკრეობა. – საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 523.

ბული, რომ ფუტკრის მფარველიც – „ჯგრაგ ლენჩაში“-ც – კი ჰყავდათ. ენციკლოპედიაში თქმულს ქვეტექსტები გააჩნია: ა) სვანები „ტომს“ წარმოადგენდნენ, ბ) სვანეთი მოწყვეტილი იყო ერთიან ქართულ ეთნიკურ სამყაროს, გ) დასავლეთ საქართველოს მთიელებს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ არა დანარჩენ საქართველოსთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასთან, დ) ქართველები კულტურული განვითარებით სხვებს (ამ შემთხვევაში, ოსებს) ჩამორჩებოდნენ. ენციკლოპედიის მიხედვით, ალანიაში იმდენად იყო მეფუტკრეობა განვითარებული, რომ მას სამხრეთ კავკასიაში გავრცელებაზე დიდი გავლენა მოუხდენია და რომ, თურმე, როგორც ალ. რობაქიძე წერდა, სლავური სკების ზოგიერთმა ფორმამ საქართველოში ალანების მეშვეობით შეაღწია [«В Алании М. было настолько распространено, что оказало большое влияние на развитие его и в Закавказье. Как писал проф. А. И. Робакидзе, некоторые формы славянских улей проникли в Грузию через посредство алан». - стр. 366]. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ქართველი ავტორის არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ – ალ. რობაქიძე არსად არ ახსენებს არც ამიერკავკასიას და არც საქართველოს. ის საუბრობს, საქართველოში სასკეების მრავალგვარი ფორმების შესახებ და აღნიშნავს, რომ „მთლიანი ხისაგან გამოთლილი კოდი ... უფრო ოსების სამეურნეო ყოფას ახასიათებს და შესაძლებელია სლავური გეჯის ადრინდელ ფორმას წარმოადგენს, რომელიც კავკასიაში ალანების მეშვეობით შემოვიდა“³⁵. ვფიქრობთ, ცნობილი ქართველი მეცნიერის ნაშრომიდან მოყვანილ ამონარიდს კომენტარი არ ჭირდება. ის კი უნდა გავიმეოროთ, რომ ალ. რობაქიძე არსად არც სამხრეთ კავკასიაზე და არც საქართველოზე არ საუბრობს. კონკრეტულად ის ზოგადად კავკასიას ახსენებს. ქართველი ავტორის წიგნის გულისყურით წაკითხვის შემთხვევაში, დაინტერესებული მკითხველი დარწმუნდება თუ რაოდენ მაღალ დონეზე იყო საქართველოში მეფუტკრეობა გავრცელებული (სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან ქრისტიანული ქვეყა-

³⁵ ალ. რობაქიძე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 86.

ნა დიდი რაოდენობით სანთელს მოიხმარებდა). სხვათა შორის, ამავე წიგნში აღ. რობაქიძეს ვახუშტის ციტატაც აქვს მოყვანილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ოსეთში მეფუტკრეობა კი იყო განვითარებული, მაგრამ არა ისე, რომ თავლით უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ („არს აქა ფუტკარი და ჰყავთ, და არა ეგოდენ მრავლად, რათამცა კმა ეყოსთ თავლნი“). სამწუხაროდ, აღ. რობაქიძეს, როდესაც ის თავის მონოგრაფიას წერდა, არ ჰქონდა ეთნოგრაფიული მასალები თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მეფუტკრეობის შესახებ. დღესაც აქ ფართოდაა გავრცელებული ტრადიციული მთლიანი ხისაგან გამოთლილი ფუტკრის სკები, რომლებსაც ძირითადად ხეებზე ათავსებენ.

ასე რომ, ენციკლოპედიის ოსი ავტორები მკითხველს გაყალბებულ ფაქტებს აწვდიან, რეალურ სამეცნიერო ფაქტებს კი მკითხველს უმაღავენ. მაგალითად, ენციკლოპედიასა და ხსენებულ გამოცემაში არაფერია ნათქვამი ვ. აბაევის მიერ დადგენილი ფაქტის – ოსურ ენაში ზანიზმებისა და სვანიზმების, შესაბამისად, ზანური და სვანური სუბსტრატის – შესახებ.

ზემოთ რადგან დასავლეთ ოსეთის (დიგორიის) შესახებ ვისაუბრეთ, მკითხველისათვის ბარემ ისიც უნდა იყოს ცნობილი, რომ, თურმე ამ პროვინციის ერთ-ერთი თემის – *სტურ დიგორიის* – უმაღლეს წოდება/ფენა – *ცარგასატები* – მთის რაჭის სამი ცნობილი სოფლის (ღები, გლოლა, ჭიორა) მფლობელები ყოფილან: «О высоком социальном статусе царгасат говорит тот факт, что с XVII в. царгасата были союзниками грузинских царей из рода Багратиони. Они были признана грузинскими царями владетелями с правом наследия трех деревень в Имеретии: Геби, Чиори, Глоли»³⁶. ქართულ-ოსური ურთიერთობის თვალსაზრისით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მთის რაჭაში არცთუ იშვიათად თარეშობდნენ დიგორელი ოსები. ამის შესახებ აქ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მოხმობაც საკმარისია. ესაა და ეს. მაგრამ ოსი ავტორების

³⁶ Осетины, М., 2012, ст. 305.

თანახმად, ამ თარეშებს შედეგად დიგორელთა ფეოდალური მფლობელობის დამყარებაც მოყოლია. ბაგრატიონთა მხრიდან კი ამ ფაქტის აღიარება მომხდარა. ამ სიყალბის დამაჯერებლობისათვის მიუთითებენ რუსეთის ცენტრალური არქივის 262-ე ფონდს³⁷. მეცნიერთა დიდ ნაწილს და მითუმეტეს ფართო მკითხველ საზოგადოებას, ჩვეულებრივ, არქივებში დაცულ დოკუმენტებზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ. ამიტომ წიგნის მთავარი რედაქტორები ზ. ცალაგოვა და ლ. ჩიბიროვი ვაღდებული იყვნენ საარქივო დოკუმენტის ტექსტი სრულად მოეხმოთ.

ოსი მეცნიერების მიერ იწერება, რომ მეურნეობის არცერთი დარგი არ იყო, ოსებში მაღალ დონეზე რომ არ ყოფილიყო განვითარებული. ენციკლოპედიის 653-ე გვერდზე ვკითხულობთ: „Одним из древних напитков осетин является сан (вино), которое было известно под таким же названием у скифов». ესაა სკვითომანიის ტიპური ნიმუში. ამის დამწერი მეცნიერებასთან ნამდვილად მწყრალადაა. როდის აყენებდნენ ოსთა წინაპრები ღვინოს, მომთაბარე ცხოვრებისას თუ მთებში დამკვიდრების შემდეგ? ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ ოსების მიერ ლუდის მოხმარებას აღნიშნავდა, თუმცა ეს სასმელი ყოველდღიური არ იყო და მას მხოლოდ დღესასწაულების დროს ხარშავდნენ (ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში): **„ხდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა, და იგიცა მიაქვთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ“**³⁸.

ენციკლოპედიაში მოულოდნელად ისეთი ტერმინიც მოხვდა როგორცაა ოსთა **მებაღეობა**. მის შესახებ ვკითხულობთ: «садоводство» — один из видов хозяйственной деятельности осетин, корни которого уходят в аланскую эпоху». როგორც სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც მებაღეობის ტრადიციის არსებობას ოსეთში სხვადასხვა ავტორებს მიაწერენ, და, მათ შორის, ვახუშტი ბაგრატიონს: «Вахушти (XVIII в.) также зафиксировал знакомства горцев-осетин с садовыми куль-

³⁷ ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 110-111.

³⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 113.

